

21/06/2024



MES 1 24 0000724089

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 07. 06. 2024**

**სხდომის დაწყების დრო: 14:02 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 19:28 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე**

**სხდომის მდივანი: ციური დურული**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
4. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი,

10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. **გიორგი მირიანაშვილი** - შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

- ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- თამთა მოხევიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- გვანცა ძიძიგური** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- გიორგი გვალია - ვიცე რექტორი;
- ნინო ჟვანია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
- სოფიკო ლობჯანიძე - განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
- ხათუნა დოლიძე - პროფესორი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მიხეილ გიორგაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- რუსუდან ასათიანი, ასოცირებული პროფესორი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება ხელმძღვანელი;
- თეიმურაზ პაპასკირი, პროფესორი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ახალი და უახლესი ისტორია ხელმძღვანელი;
- თედო დუნდუა, პროფესორი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველო ისტორია ხელმძღვანელი;
- აპოლონ თაბუაშვილი, ასოცირებული პროფესორი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველო ისტორია მოდულის ხელმძღვანელი;

ბონდო კუპატაძე, ასოცირებული პროფესორი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველო ისტორია მოდულის ხელმძღვანელი;

დარეჯან გარდავაძე, პროფესორი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო კვიციანი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

პროფესორი ნინო ქიმერიძე, ასოცირებული - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;

შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

### **შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია**

სალომე პირველი - რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

ეკატერინე ლაფაჩი - პროგრამის ხელმძღვანელი;

თათია დოლიძე - რექტორის მრჩეველი.

### **სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ზურაბ ხონელიძე - რექტორი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

ვეფხვია გვარამია - პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი

გელა ცაავა - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი

რომეო გალდავა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ასმათ გუგავა - სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

### **შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი**

ლია კურტანიძე - მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

გულნარა ჯანელიძე - მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ანა ფირცხალაშვილი - ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით

გიორგი ღავთაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

### **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ინგა აბრამიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ნინო ჩიხლაძე - პროფესორი, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

### **სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

ირაკლი პირიმისაშვილი - პროფესორი, დეკანი

ნანა ქუთათელაძე პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლაღანიძე პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

### **აკრედიტაციის ექსპერტები:**

**(საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა)**

ქეთევან აფთარაშვილი - I საკითხი

თეონა ლოდია - I საკითხი

ირმა ქურდაძე - I საკითხი

ლიკა კვინჩია - I საკითხი

ეკატერინე ბაკარაძე - II საკითხები

მერაბ ჭუმბურიძე - III, IV საკითხები  
გიორგი მახარობლიშვილი - V საკითხი  
ირაკლი მანველიძე - VI საკითხი  
მაქსიმ იავიჩი - VII საკითხი  
ნინო პოპიაშვილი - VIII საკითხი  
ნინო ხაბეიშვილი - IX საკითხი  
თამარ გვინიაშვილი - IX საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ლომინაძემ მე-4 საკითხის განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა თუთბერიძე. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

#### **საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:02 საათზე.**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
9. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

11. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი).

## **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

5. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

7. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

8. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

9. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

11. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი).

**პირველი საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა თვითაცილება**

**აცილების მიზეზი იყო შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საქმის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

**შეფასების პროცესში მონაწილეობდა უცხოელი ექსპერტი, რომელიც ვერ ესწრებოდა სხდომას, გამომდინარე აქედან, ცენტრის წარმომადგენელმა, თორნიკე ბაქაქურმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა უცხოელი ექსპერტის მიერ წინასწარ წერილობით წარმოდგენილი პოზიცია განსახილველ საქმესთან მიმართებით.**

წარმოდგენილი პოზიციის შესაბამისად, „ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 7 მარტს. შეფასება მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამას "ადრეული ბავშვობა განვითარება და განათლება". ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი. მათ დაასკვნეს, რომ პროგრამა შეესაბამებოდა აკრედიტაციის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია შრომით ბაზარზე და საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიაღწიონ დასახულ სწავლის შედეგებს და მიიღონ განათლების დონის შესაბამისი კვალიფიკაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს და იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განმტკიცების მექანიზმებს და ახორციელებს პროგრამის პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს შემდეგნაირად: სტანდარტები პირველი და ხუთი სრულად შესაბამისია დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტი 2,3 და 4 მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისია. გარკვეული ხარვეზების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 9 რეკომენდაცია და ორი რჩევა. რამდენიმე მათგანს ქვემოთ განვიხილავთ არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, განაცხადა ექსპერტმა, კერძოდ

1.5 კომპონენტის ნაწილში რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, რომ აუცილებელია საგნობრივი ლიტერატურის ინგლისურიდან ქართულად თარგმნა, ამ სფეროში მუშაობა უკვე დაწყებულია სტუდენტების ენობრივი ცოდნის გაზიარების მიზნით და ენის სავალდებულო კურსებიც ასევე ჩაშვებულია. გარდა ამისა, რეკომენდაციის შესაბამისად, სტუდენტებისთვის მასალები დაწვრილებით იქნა დაზუსტებული შესაბამისი გვერდების მითითებით. 2.4. კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა ექსპერტმა, რომ უნივერსიტეტმა განიხილა შეფასების ინსტრუმენტები, და ზოგიერთი საგნისთვის შეცვალა შეფასების კრიტერიუმები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია განათლების მინისტრის N3 ბრძანებით. 3.1. კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებაში განმარტავენ, რომ შემუშავდება და განხორციელდება ახალი სასწავლო მოდულები, რომელიც ორიენტირებული იქნება ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაზე და უნივერსიტეტში სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენებაზე, ეს მოდულები შეავსებს პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მოწოდებულ ტრენინგებს და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დასაქმებული პირისათვის, აღნიშნა ექსპერტმა. 4.1. კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა განაცხადა რომ გაზრდის აკადემიური პერსონალის რაოდენობას პროგრამაში და აიყვანს მათ შორის დოქტორანტებს მათი ხარისხის დაცვის შემდეგ რეკრუტირების გზით. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა, რომ გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სტუდენტებსა და სასწავლო პერსონალს შორის, წაახალისოს სტუდენტები, პროგრამის კოორდინატორებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები, მიაწოდონ უკუკავშირი გამოკითხვების საშუალებით. ასევე, სასურველია წარმოდგენილ ბიუჯეტში დეტალურად იქნეს აღწერილი, პროფესიული განვითარების, სამეცნიერო კვლევისა და სხვადასხვა სამეცნიერო საქმისათვის საჭირო თანხები, რათა თვალსაჩინო იყოს პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საუკეთესო პრაქტიკის სამაგალითო ილუსტრაციაა, უნივერსიტეტში მოქმედი ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი, რომლის ადგილზე გაცნობის შესაძლებლობაც მიეცა მათ. ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი ამყოფს, ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია, სტუდენტებისათვის, როგორც პრაქტიკის ასევე კვლევის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებმა აღნიშნეს რომ წარმოდგენილი პოზიცია სრულად ასახავს ექსპერტების შეფასებას და დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში მზად იყვნენ მასზე პასუხების გასაცემად.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.**

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჟვანია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მან თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ განეხილათ შესაძლებლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2024 წლის 7 ივნისიდან შევიდეს ძალაში. რაც შეეხება, ექსპერტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით პოზიციას აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილს დაეთანხმა დაწესებულება, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას დაწესებულებამ არ ეთანხმებოდა და მიაჩნიათ, რომ იგი შეიძლება იყოს უფრო რჩევა ვიდრე რეკომენდაცია. კერძოდ: ყურადღება გაამახვილა 2.1. ქვესტანდარტზე, რომელიც ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. დაწესებულების მოსაზრებით, ის ინფორმაცია რომელიც ასახული არის კურიკულუმის დოკუმენტში არ არღვევს აკრედიტაციის სტანდარტს, პირიქით შესაბამისობაშია. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება მობილობის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გაწერას, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ამის დაზუსტება არ იყო საჭირო. გამომდინარე იქედან, რომ თუ კი პროგრამაზე

გამოცხადდა მობილობა მასზე ვრცელდება იგივე პირობები რაც ვრცელდება აბიტურიენტების მიღების შემთხვევაში. აქვე აღნიშნა, რომ შესაძლებელია ხშირი სახე არ ჰქონდეს მობილობას. შესაბამისად, დაწესებულება ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად მიიჩნევს, რომ დამატებითი ინფორმაციის მითითება, კურიკულუმის დოკუმენტში არ იყო საჭირო. ერთ-ერთი რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების პირობების შესახებ ინფორმაციის ასახვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა იყო ქართულენოვანი საერთაშორისო სტუდენტებს აღნიშნულ პროგრამაზე არ იღებდნენ და სწორედ ამიტომაც არ იყო ასახული ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. რაც შეეხება, ეროვნული გამოცდების შესახებ ინფორმაციას, კურიკულუმში არის მითითებული რომ აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა, „NAEC“-ის მიერ განსაზღვრული მოცულობით, და იმ საგნებში რაც ბარდება განათლების მიმართულებით გამოცდები. უცხო ენასთან მიმართებით, ექსპერტების რეკომენდაციას რომ მითითებული ყოფილიყო კერძოდ რომელი უცხო ენა უნდა იყოს ჩაბარებული წარმოდგენილ პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული პირობა არ არის წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით და აბიტურიენტს შეუძლია ნებისმიერი უცხო ენით დაიწყოს სწავლა წარმოდგენილ პროგრამაზე. შესაბამისად განსაკუთრებული დათქმა ამიტომაც არ იყო გაკეთებული. სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ექსპერტების ეს რეკომენდაცია რჩევის სახით უნდა ყოფილიყო გაცემული.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვერ მოიძია შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. ხოლო ექსპერტების დასკვნაში ასახული იყო რომ წარმოდგენილი პროგრამა თანხვედრაშია შრომის ბაზრის კვლევასთან, შესაბამისად მას აინტერესებდა იყო მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი და გამორჩა მხედველობიდან თუ რაიმე სხვა მსჯელობის საფუძველზე იყო ექსპერტების მიერ მსგავსი დასკვნა გაკეთებული.

ექსპერტმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი დოკუმენტის სახით წარმოდგენილ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, რომელიც წარმოადგენდა ანალიტიკური დოკუმენტს. გარდა ამისა, მასთან ერთად წარმოდგენილია ანალიზი პროგრამის ანალოგების შესახებ. დოკუმენტის სახით იყო წარმოდგენილი და ასევე ინტერვიუების დროსაც დაზუსტა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ დაამატა რომ დამსაქმებლები, საბავშვო ბაღიდან მოწვეულები, თავის ინტერვიუებში აღნიშნავდნენ, რომ მათი გამოცდილებით, მათ მიერ გავლილი ტრენინგებით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი პროგრამაა პროგრამაა წარმოდგენილი, მათ აღნიშნეს, განვითარების ინსტიტუტის არსებობა და ის მდიდარი გამოცდილება რომელიც ზუსტად პასუხობს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს და მათ საჭიროებებს. ასევე აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლება და საბაკალავრო პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს კითხვა ჰქონდა ასევე შრომის ბაზრის კვლევასთან მიმართებით, მან მიუთითა ექსპერტის დასკვნაზე სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ ანალიზის მიხედვით სკოლამდელი დაწესებულებების ინოვაციური აზროვნების პედაგოგების მნიშვნელოვანი დეფიციტია, მას აინტერესებდა კვლევის შედეგების საფუძველზე ხომ არ ქონდათ მონაცემები მაღალი კლასის პედაგოგებთან მიმართებით რა მდგომარეობა არსებობდა. ასევე, მას ექსპერტებთან ჰქონდა კითხვა, მათ მიერ გაცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციასთან მიმართებით. კერძოდ, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა სილაბუსში



საკითხავი მასალების ოდენობის დაზუსტებას, მას აინტერესებდა, თუ რა მოიაზრებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში, რა ფორმით უნდა ყოფილიყო მითითებული მოთხოვნილი ინფორმაცია და რატომ იყო აუცილებელი მაინდამაინც გვერდების მითითება.

ექსპერტმა თეონა ლოდამ აღნიშნა უპირველესად, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო გამართული, წარმოდგენილ პროგრამის ძლიერ მხარე იყო ის რომ დარგობრივი დოკუმენტის ავტორები არიან ამ პროგრამის განმახორციელებლები. პროგრამის, ძალიან მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც არის არა ზოგადად პრაქტიკა არამედ სტუდენტისთვის კონკრეტული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული. რაც შეეხება სასწავლო მასალის დაზუსტებას, აღნიშნავს ექსპერტი, რეკომენდაციის საფუძველი იყო ის, რომ თუ კი არ არის მითითებული კონკრეტულად რა მოცულობის მასალა უნდა დაამუშაოს სტუდენტმა, შემფასებლისთვის, რთულია დადგენა ის კრედიტები რომელიც განსაზღვრულია კურსისთვის რამდენად მოდის შესაბამისობაში იმ შინაარსთან, როგორც დასამუშავებელ ასევე ასათვისებელ მასალასთან და იმ შედეგებთან, რომელიც არის მისაღწევი. შესაბამისად სწორედ ამიტომ მიიჩნია ექსპერტმა რამდენიმე სილაბუსთან მიმართებით საკითხავი მასალის დაზუსტება. ასევე აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულებამ გამოთქვა თანხმობა და შეასრულა აღნიშნული. რაც შეეხება მაღალი კლასის მასწავლებლებლების კვლევას, არ ყოფილა წარმოდგენილი და მიაჩნია, რომ არც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტამეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა მესამე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებასთან და ყველა სტუდენტისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, მას აინტერესებდა კონკრეტულად რას გულისხმობდა აღნიშნული რეკომენდაცია და რა სახის დისკრიმინაციაზე იყო საუბარი.

ექსპერტმა ლიკა კვინჩიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გამოიკვეთა სხვა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას, სადაც მათ აღნიშნეს, რომ ლექტორების მხრიდან დისკრიმინაციული მიმართვებს ჰქონდა ადგილი. მართალია იშვიათად, მაგრამ მსგავსი ფაქტები არსებობდა. შესაბამისად, საჭირო იყო რომ გაეთვალისწინებინა დაწესებულებას აღნიშნული. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ დაადასტურა წარმოდგენილი რეკომენდაციის მნიშვნელობა და იმედოვნებდა რომ მომავალში, მეტად სტუდენტებზე ორიენტირებული გარემო იქნებოდა დაწესებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გოჩა თუთბერიძეს დაწესებულებასთან ჰქონდა კითხვა, მას აინტერესებდა ეთანხმებოდა თუ არა 2.1. გაცემულ რეკომენდაციის შინაარსს და უნდათ რომ რჩევაში იყოს გადასული, თუ არ ეთანხმებოდა ამ რეკომენდაციას და უნდა იყოს ამოღებული. ასევე აინტერესებდა ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან მიმართებით და ითხოვა უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ საბჭოსა და დამსწრე წევრებისთვის ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია მათი მოსაზრებით არ ადგენდა ხარვეზს, კანონმდებლობასა და მარეგულირებელი წესებთან მიმართებით, თუ კი ექსპერტებს მიაჩნიათ რომ მიღების წინაპირობებში უფრო მეტი ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული ეს შეიძლება იყოს მხოლოდ რჩევითი ხასიათის და არა რეკომენდაციის სახით შემოთავაზებული.

ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა მცირე განმარტება გააკეთა გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციაში საუბარი იყო მეტ გამჭვირვალობასთან მიმართებით. ერთი საკითხი რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდების გარეშე ჩარიცხავს შეეხება ეს არ არის მხოლოდ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის, აღნიშნა ექსპერტმა, შესაძლოა უცხო ქვეყნის მოქალაქე იყოს, თუმცა დააკმაყოფილოს მიღების წინაპირობები მათ შორის ქართული ენა და სტუდენტების ჩარიცხვა მოხდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. აღნიშნულს დაწესებულება არ ეთანხმება, როგორც ინტერვიუების დროს ასევე, არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებული პოზიციით,

გარდა ამისა აღნიშნა რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით განსაზღვრული არის, ზოგადი სტანდარტი რომელიც შეიძლება დავიწროვდეს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტს შეეძლება ჩააბაროს, რა თქმა უნდა ნებისმიერი უცხო ენა, მაგრამ როდესაც ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა უცხო ენასთან დაკავშირებით, დაწესებულების მხრიდან პასუხი იყო, რომ ამ ეტაპზე გამოცხადებულია ნებისმიერ უცხო ენა ჩაბარდეს, თუმცა შეიძლება განიხილონ ისიც, რომ დაშვების წინაპირობა იყოს მხოლოდ ინგლისური ენა.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ეს ქმნიდა გაუგებრობას, დასკვნის გამჭირვალობიდან გამომდინარე, ასევე იქედან გამომდინარე თუ რის საფუძველზეც ხდება ანკეტა კითხვარის შევსება, რომელიც საბოლოოდ "NAEC"-ის ცნობარში უნდა გამოქვეყნდეს, შესაბამისად, მიიჩნევს ექსპერტთა ჯგუფი, რომ აუცილებლად ამგვარი დეტალები უნდა იყოს მითითებული ცნობარში და მიიჩნევს რომ წარმოდგენილი, ნამდვილად არის რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის განსაზღვრა როგორც მიღების ერთ-ერთ წინაპირობისა, ამ ეტაპზე არ მოხდა, როდესაც ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაზე მიღების წინაპირობების გადახედვის ან მისი ცვლილების შესახებ, ეს იქნება ასახული დოკუმენტებში და შესაბამის სუბიექტებსაც ეცნობებათ, მათ შორის ხარისხის ცენტრს, რეგულაციების შესაბამისად. ამ ეტაპზე დაწესებულების წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ რაც გათვალისწინებულია მიღების ნაწილში ეროვნული გამოცდების მოცულობით საგნების ჩაბარება, სრულად პასუხობს საბაკალავრო საფეხურზე მიღების დადგენილ პირობებს. ასევე აღნიშნა, რომ ყველა ის გამოცდა და გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარი თითოეულ საგანში მიეთითება ანკეტა კითხვარი შესაბამისად ეს პირობები მითითებულია და ცნობილია აბიტურიენტებისათვის. აქვე აღნიშნა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების ნაწილში, სტუდენტების მიღება უნივერსიტეტში რეგულირდება საბაკალავრო პროგრამის მიღების სტანდარტით. ასევე კიდევ ერთხელ დააზუსტა რომ ამგვარი ჩანაწერით არ ირღვევა დაწესებულების მხრიდან სტანდარტის მოთხოვნები. ასევე აღნიშნა, რომ თუ აღნიშნული პირობები არის დამატებითი პირობები მათ შორის საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებით, და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების ნაწილში, მიაჩნია დაწესებულებას, რომ თუ კი ექსპერტები მიიჩნევენ რომ უნდა იყოს ასახული, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ რჩევითი ხასიათის.

რაც შეეხება, ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა დოლიძემ აღნიშნა, რომ ილიას უნივერსიტეტში უკვე 8 წელია ფუნქციონირებს და იგი არის, სწავლების კვლევის და პრაქტიკის ერთიანი სივრცეში განთავსების კონცეფციაზე დაფუძნებული მომსახურება. აქ არის რამდენიმე მიმართება, ერთ-ერთი არის ადრეული ინტერვენციის პროგრამა რაც გულისხმობს, სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან განვითარების მიმართულებით მუშაობას და ერთ-ერთი მიმართულება არის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების მიმართულება, რომლის ხელმძღვანელი თავად არის. ცენტრის გუნდი, ასევე არის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის გუნდში. ასევე აღნიშნა, რომ წლებია განათლების მიმართულებით მუშაობენ, ეს ეხება სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, როგორც საბავშვო ბაღებში ინკლუზიური განათლების დანერგვას, ასევე მასწავლებლებისა და საბავშვო ბაღის აღმზრდელების პროფესიულ გადამზადებას, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. ასევე, შეიქმნა მარეგულირებელი დოკუმენტი, კურიკულუმები ადრეულ განათლებაში. ასევე ინსტიტუტში გაჩნდა იდეა ენისა და მეტყველების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა. აღნიშნული სივრცე, უთითებს დაწესებულების წარმომადგენელი, სთავაზობს ენისა და მეტყველების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკას.

საბჭოს წარმომადგენელ ქეთევან ქუთათელაძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, კერძოდ მესამე სტანდარტთან მიმართებით, 28 გვერდზე აღნიშნულია, რომ გასაუბრების დროს ლექტორების მხრიდან დაფიქსირდა ეთნიკური ან სხვა სახის დისკრიმინაციის შემთხვევები. მას აინტერესებდა, განმარტება დაწესებულების მხრიდან რა ფაქტს ქონდა შემთხვევა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა ლიკა კვინჩიამ დააზუსტა გაცემული რეკომენდაცია, კერძოდ აღნიშნა რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან ერთად მოიაზრება სოციალური ნიშნით დისკრიმინაცია და რადგან, არა არის ვალდებულება, რომ სიტყვა სიტყვით ყოფილიყო ჩაწერილი სტუდენტების ნათქვამი, და ასევე კონფიდენციალურობის დაცვით, ამ სახით მოხდა ჩანაწერის გაკეთება დასკვნაში. იმისათვის, რომ დივერსიული და ინკლუზიური იყოს ის გარემო, სადაც უნდა შეისწავლონ აღნიშნული პროგრამა სწორედ ამ მიზნით იყო მითითება გაკეთებული, აღნიშნა ექსპერტმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გვალიამ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ხაზი გაუსვა დაწესებულების როლს სოციალურ და ეთნიკურ საკითხებთან მიმართებით, შესაბამისად აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია საფუძველი ექსპერტების მიერ დასკვნაში მსგავსი ჩანაწერის გაკეთებისა. თუმცა, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ დაზღვეულ იქნას ამგვარი ქმედებები და დაწესებულებამ მაქსიმალურად მოახერხოს ჯანსაღი გარემოს შექმნა სწავლის პროცესში. ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერ ნიშნით დისკრიმინაცია არის პირდაპირ საუნივერსიტეტო წესებისა და კანონების დარღვევა. შესაბამისად, უნივერსიტეტში არსებული კომისია მყისიერად რეაგირებს მსგავსი ფაქტების გამოვლენისას, კომისიაში ჩართულები არიან როგორც საფაკულტეტო, ასევე ცენტრალური ადმინისტრაციის თანამშრომლები. თუმცა, მას დამაზუსტებლად აინტერესებდა, რა ტიპის დისკრიმინაციაზე იყო საუბარი, უფრო დეტალურად რომ მოეწოდებინა ინფორმაცია ამ კუთხით ექსპერტს. ასევე, მან აღნიშნა, რომ დამატებით, დაწესებულება გეგმავს, აღნიშნული საკითხის მოკვლევას და დიდი ალბათობით ჩატარებული იქნება კვლევა. რადგან, ამ ეტაპზე აკრედიტაციაზე გადის ჯერ არ არსებული პროგრამა, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებიდან, ამიტომ თხოვნა ჰქონდა ექსპერტთან, რომ კიდევ ერთხელ განემარტა უფრო დეტალურად რა შემთხვევაზე იყო საუბარი. მას მიაჩნია, რომ სისტემურ პრობლემაზე საუბარი გადაჭარბებულია და შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა კონკრეტულად ერთ შემთხვევას, შესაბამისად, დამატებით განმარტებები საინტერესო იქნებოდა ამ ფაქტთან მიმართებით მეტი სიცხადისთვის განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე განათლების სკოლის წარმომადგენელმა სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიზანი არის ინკლუზიური გარემოს შექმნა. ასევე აღნიშნა რომ დაწესებულებაში არ არსებობს მარგინალიზებული სტუდენტი და მისთვის გასაკვირი იყო ექსპერტების მიერ დასკვნაში მსგავსი ჩანაწერის გაკეთების საფუძველი. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან, რა თქმა უნდა კიდევ იქნება მოკვლევული ეს საკითხი, ასევე განმარტა, რომ ყოველ წლიურად და სემესტრულად, ყველა კურსისა და პროგრამის ფარგლებში, განათლების მიმართულებით, ტარდები კვლევა ფოკუს ჯგუფები იქნება ეს თუ სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ემსახურება სტუდენტების პრობლემების განხილვას. ასევე აღნიშნა, რომ არასოდეს სტუდენტებისაგან, მსგავსი, პრობლემა დაფიქსირებული არ ყოფილა. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე არ არის მობილობა, ერთადერთი რომელი სტუდენტებიც უნდა იქნეს მიღებული ამ პროგრამაზე ეს იქნება ეთნიკური უმცირესობა, რადგან ისინი მიჩნევენ რომ ეს არის სახელმწიფო საქმე და მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობაა მათ მიმართ, მთელი კოლექტივი არის მობილიზებული ამ მხრივ. ასევე, სამუშაოთი უზრუნველყოფა, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, აღნიშნავს სოფიკო ლობჟანიძე, რომ ახლახანს განხორციელდა პროექტი განათლების სამინისტროსთან ერთად, სადაც 20 სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების დასაქმება მოხდა. შესაბამისად, მიაჩნია რომ პრობლემის განზოგადება და იმის მტკიცება რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არის დისკრიმინაციული მიდგომები მიუღებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა და საბჭოს წევრმაც დაადასტურა, რომ მსგავსი შინაარსი ექსპერტთა დასკვნაში არ არის ასახული.

ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გვალიამ დაამატა განსახილველ საკითხთან მიმართებით და აღნიშნა, რომ სოციალური ნიშნით მარგინალიზებულ სტუდენტებს რაც

შეხება, როგორც იყო დაფიქსირებული დასკვნაში ერთ-ერთი პრობლემად ამ კუთხით დისკრიმინაცია, აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ თითქმის ორ მილიონამდე ლარის დახმარება აღმოუჩინა სოციალურად შეჭირვებულ სტუდენტებს, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს ვისთვისაც პრობლემა იყო ქალაქში ჩამოსვლა და ბინების ქირაობა, ეს დახმარება გამოიხატა ძირითადად სწავლის საფასურების ჩამოწერაში. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ეკონომიკურად შეჭირვებულ სტუდენტების ნაკადზე აღნიშნა გიორგი გვალამ, შესაბამისად, მოცემულობა რომ შესაძლებელია დაწესებულებაში არსებობდნენ სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფები ეს არის ეგზოგენური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და ეს არ არის ზოგადი მოცემულობა დაწესებულებაში. რადგანაც დაწესებულებაში არსებული სტუდენტების დიდ ნაწილს აქვს ეკონომიკური პრობლემები, დაწესებულებაში სწავლის საფასური გადახდის სისტემაც არის მაქსიმალურად მორგებული სტუდენტების ინტერესებზე. დაწესებულებაში მოქმედებს სწავლის საფასურის 10-ჯერადად გადანაწილების შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულება აპირებს მოხდეს ამ საკითხის ჩაღრმავება, რადგან ინსტიტუციის ინტერესი არ არის ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა. ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე სტუდენტის მიერ დასახული პრობლემა, თუ კი ეს ნამდვილად მათ დასახეს პრობლემად, არ შეიძლება განზოგადებულად გავრცელდეს დაწესებულებაზე რომელსაც ჰყავს 17500 სტუდენტი.

ექსპერტმა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაამატა და აღნიშნა, რომ გამოკითხული სტუდენტები, იყვნენ შემთხვევით შერჩეულები, ასევე აღნიშნა რომ ძალიან მნიშვნელოვანია, სტუდენტების ჩართვა სასწავლო პროცესში და მათ უფლებების უზრუნველყოფა, რომ არ იყვნენ მსხვერპლნი ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისა. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში არ არის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა განზოგადება აღნიშნული საკითხისა ექსპერტების მხრიდან, ვიზიტის დროს მოხდა მსგავსი ფაქტის დაფიქსირება რისი, დასკვნაში ასახვის ვალდებულებაც, როგორც ექსპერტს გააჩნდა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ დაწესებულება ზრუნავს იმ მიმართულებით რომ ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს ადგილი არ ქონდეს, ეს არ გამორიცხავს რომელიმე ლექტორის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობას.

საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულების წარმომადგენელთან, მან აღნიშნა, რომ პროგრამის დატვირთვიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რამდენად ჩანს შედეგებში ის ცოდნა რა ცოდნასაც პროგრამაზე სწავლის შედეგად იღებს კურსდამთავრებული. კითხვის საფუძველი არის დარგობრივ მახასიათებელში დიდი რაოდენობით არსებულ იმ შედეგებზე რომელიც მიუთითებს ცოდნაზე. შეფასების სისტემასთან მიმართებით აინტერესებდა რაში მდგომარეობდა ხარვეზი, რომელიც გახდა საფუძველი რეკომენდაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. ასევე, კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრს პროგრამის განმახორციელებლებთან და აღნიშნა, რომ რეალურად წარმოდგენილი პროგრამა იყო ნამდვილად ძალიან დიდი მნიშვნელობის. შესაბამისად, როგორ მიჩნიათ რამდენად იქნება მიღწეული შედეგი, რამდენად იქნება განათლების ხარისხი იმ დონის, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ინოვაციური აზროვნების კადრების ნაკლებობაზე, მაშინ როდესაც სულაბუსების ნაწილში 70 ქულიდან 21 ქულაა გამსვლელი, ხოლო ნაწილში 30 ქულიდან 11-ია გამსვლელად მითითებული.

ექსპერტმა თეონა ლოდიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ჯგუფი რომელიც აპირებს განახორციელოს პროგრამა, ნამდვილად არის ძალიან კვალიფიციური, მათ არაერთი სახელმძღვანელო აქვთ შექმნილი ქართულ ენაზე, რომელიც ჩართულია კურსების სილაბუსებში და ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი ძალიან მრავალფეროვანი მეთოდოლოგია, ძირითადად პრაქტიკაზე დაფუძნებული რითიც მიიღწევა ცოდნის შედეგები. ის 7 ძირითადი პროგრამის შედეგი რომელიც არჩეულია, მიაჩნია რომ არის ძალიან კარგი, მკაფიო და კურსების ფარგლებში მისაღწევი. ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ქართული სახელმძღვანელოების დეფიციტს შეეხებოდა, აღსანიშნავია, რომ ეს რეკომენდაცია მიღებულია

დაწესებულების მხრიდან, მიუხედავ იმისა რომ მათ უკვე ერთი სახელმძღვანელო აქვთ შექმნილი აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას არა მხოლოდ მათი კურსისთვის, არამედ მათი სფეროსთვის. შესაბამისად ექვის საფუძველი რომ შეიძლება არსებული პროგრამისთვის ვერ მოხდეს შედეგების მიღწევა არ ჰქონია ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ ერთ-ერთ არგუმენტი რაც ადასტურებს, რომ ნამდვილად გადის შედეგებზე არის ის, რომ მათ აქვთ კვლევა, ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილად ცოტა პროგრამაა საბაკალავრო სადაც ნახავთ კვლევას. შესაბამისად, თუ კი ჩავხედავთ კვალიფიკაციების ჩარჩოს, ნახავთ რომ იმაზე მეტ ცოდნას აძლევს აღნიშნული პროგრამა სტუდენტს ვიდრე ნებისმიერი სხვა. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არის ძალიან საინტერესო კურსი, იმის შესახებ თუ როგორ ხდება გადასვლა სკოლამდელი პერიოდიდან უკვე სკოლაში. შესაბამისად, სინთეზურად არის აგებული, ყველა ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ წარმოდგენილი პროგრამა ნამდვილად გავა ყველა იმ შედეგზე რაც წარმოდგენილი არის განაცხადა ექსპერტმა თეონა ლოდიაძე.

ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კითხვა ასევე უკავშირდებოდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსაც, რადგან გაცემული რეკომენდაცია მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში უკავშირდებოდა ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსაც. რადგან, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაცული არის, ამავდროულად აღნიშნა მან, რომ აკადემიური პერსონალი, რომელიც არის განმახორციელებელი დარგის მიმართულებით, მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს. ასევე აღნიშნა ექსპერტმა, რომ ის პირადად იღებდა მონაწილეობას, ქართულ რეალობაში სკოლამდელი განათლების მიმართულებით ყველა პროგრამის შეფასებაში, შესაბამისად აღნიშნა, რომ ზოგადი გამოწვევა არის ყველა ინსტიტუციისთვის აკადემიური პერსონალი, რომელიც ამ პროგრამას სკოლამდელ დარგში განახორციელებს, თუმცა მთავარი არის ის რომ ამ კუთხით ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არის გადადგმული, მიმდინარეობს კვლევები, ასევე ინსტიტუცია აქტიურად მუშაობს სადოქტორო მიმართულებით, არიან დოქტორანტები, რომელიც სკოლამდელ განათლებაში აკეთებენ კვლევებს და რომელიც აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში არის ჩართულები და რეკომენდაციაც სწორედ იმას ემსახურება რომ ინსტიტუციამ ამ მიმართულებით აქტიური სვლა უნდა განაგრძოს, რომ გავიდეს სასურველ შედეგებზე. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, აღნიშნა ექსპერტმა საინტერესო იქნა დაწესებულების პოზიციაც ამ კუთხით.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა მის მიერ დასმული კითხვა და აღნიშნა, რომ მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რომ რამდენად ასახავდა შედეგები იმ ცოდნას რასაც იძენენ კურსდამთავრებულები და შემდეგი კითხვა იყო როდესაც გვაქვს თითქმის ყველა სილაბუსში 70-დან 21 ქულა და 30-დან 11 ქულა დაწესებული რამდენად არის მოთხოვნებთან და მიზნებთან შესაბამისობაში.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ დააზუსტა კითხვის შინაარსი და განმარტა, რომ დასმული კითხვა ეხებოდა არსებული სწავლის შედეგები ასახავს თუ არა იმ ცოდნას და უნარებს რომელზეც რეალურად გადის ამ პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი. ანუ წარმოდგენილ სწავლის 7 შედეგში არის თუ არა ასახული ყველა ის უნარი და ცოდნა. ამას გულისხმობდა ქალბატონი თამარი დასმულ შეკითხვაში განაცხადა მან.

პროგრამის ხელმძღვანელმა ხათუნა დოლიძემ განმარტა, რომ პროგრამა ცალსახად შესაბამისობაშია დარგობრივ დოკუმენტთან მან აღნიშნა რომ ცალსახად „მსუყე“ დარგობრივი მახასიათებელი არის, თუმცა ეს არის რეალურად ადრეული განათლების გამოწვევა, იმიტომ რომ ეს არის უნიკალური პერიოდი და მაშინ როდესაც, ადამიანის განვითარების 80 % ხდება სწორედ ამ პერიოდში, ნამდვილად სჭირდება ისეთი კომპეტენტური ადამიანი ბავშვს, ვინც იქნება სრულიად კომპეტენტური ამ მხრივ - ზრუნვის განათლების და ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით. ასევე აღნიშნა რომ პროგრამა არის შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან, ხოლო რაც შეეხება შედეგებზე გასვლას ძალიან დიდი წილი ამ პროგრამაში არის პრაქტიკის კომპონენტი. კერძოდ, მეორე კურსიდან იწყებენ სტუდენტები საორიენტაციო

პრაქტიკას და აკუმულირება ხდება იმ ცოდნის და პრაქტიკის რომელსაც გადიან თეორიული კურსების ფარგლებში, თუმცა წარმოდგენილ თეორიულ კურსებშიც არის ჩაშენებული მცირე პრაქტიკული საკითხებიც და სწავლების კომპონენტიც. პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გვამღვებს იმის ფიქრის საფუძველს, რომ სტუდენტები გავლენ შედეგებზე. ასევე გათვალისწინებულია ის, რომ პრაქტიკული სწავლების დროს, ყავდეს საკმარისი ლექტორი ხელმძღვანელობისთვის და თანამშრომლობითი სწავლება იქნება ველზე მყოფი აღმზრდელების და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მიმართ. ასეთი ერთობლივი მუშაობა სტუდენტებთან ვფიქრობთ, რომ მიგვიყვანს იმ შედეგებზე რომ კარგ კომპეტენციებს შევძენთ მათ. ზღვრული ნიშნულები შედგენილ იქნა მომიჯნავე პროგრამებიდან, ასევე ხაზი გაუსვა იმას რომ აღნიშნული პროგრამა არის პირველი პროგრამა, რადგანაც გამოცდილება არ არის საკმარისი, ამიტომ დავეყრდენით მაინორ პროგრამას რომელიც არსებობდა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით დაამატა და აღნიშნა, რომ ნიშნულები დაისვა იმის მიხედვით თუ რა გამოცდილება ჰქონდა უნივერსიტეტს მომიჯნავე დარგის პროგრამიდან გამომდინარე. ასევე აღნიშნა, რომ დაგეგმილია სამიზნე ნიშნულების ცვლილება შემდეგ უკვე პროგრამის განხორციელების პროცესში. აღნიშნული წარმომადგენს სწავლის შედეგების შეფასების ნაწილს.

საბჭოს წევრ აკაკი ხელაძეს კითხვა ჰქონდა 3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, რომ საბჭოს სხდომაზე ნახსენები იყო ქალატონი სოფიო ლობჯანიძის მიერ სტუდენტური გამოკითხვები, რომელიც ტარდება ყოველ სემესტრულად, თუ სწორედ მიხვდით აღნიშნა საბჭოს წევრმა, რომ იქ საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება არის მაღალი ან დადებითი, რომ არ დაფიქსირებულა წარმოდგენილ პრობლემები. მას აინტერესებდა ინსტიტუციამ თუ გააცნო მსგავსი ტიპის შეფასება ექსპერტებს ან/და ექსპერტებმა თუ გამოითხოვეს ასეთი ტიპის ინფორმაცია რომ შეეფასებინათ სტუდენტური სერვისები. რაც შეეხება 4.1 ქვესტანდარტს, მან აღნიშნა, რომ ბალანსი 3/12 ზე, სამი აკადემიური და 12 მოწვეული შეფასებულია როგორც შესაძლო რისკ ფაქტორი მდგრადობისთვის, მას აინტერესებდა ეს შეფასება ეფუძნება პირობითად, ექსპერტების პირად მოსაზრებას და გამოცდილებას, თუ რაიმე ტიპის რეგულაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, მას აინტერესებდა რის საფუძველზე დადგინდა ამგვარი შეფასება ექსპერტების მიერ.

ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა დასმული კითხვის ერთ ნაწილს უპასუხა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია ამ ნაწილში შემდეგი ფორმულირებისაა, რომ დარგში სკოლამდელი მიმართულებით, პერსონალის ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, ბალანსის ერთ-ერთი ნაწილია. მაგრამ ამას მოყვება აუცილებლად აფილირებული პერსონალი დარგის მიმართულებით, რომელიც პროგრამას განახორციელებს. რა თქმა უნდა პროგრამის მდგრადობას არ განსაზღვრავს მხოლოდ პერსონალის ფაქტორი, თუმცა შეუძლებელი იყო ერთ-ერთი ფაქტორი არ გამოგვეყო რადგან ამ ნაწილში, აკადემიური და აფილირებული პერსონალის გამოწვევა ნამდვილად არის სკოლამდელი განათლების მიმართულებით. თუმცა აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს ამავდროულად გამოიკვეთა მოწვეული პერსონალის მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელების ნაწილში ასევე გამოიკვეთა სამომავლო თანამშრომლობის ნაწილი, მეტიც ამავდროულად მათი კვალიფიკაციის და მოთხოვნებიდან გამომდინარე რაც უნივერსიტეტს ექნება აკადემიურ პერსონალის არჩევის ნაწილში სამომავლო თანამშრომლობასაც ითვალისწინებს.

ექსპერტი ლიკა კვინჩიამ უპასუხა საბჭოს წევრ აკაკი ხელაძის პირველ კითხვას და აღნიშნა, რომ სერვისების კვლევა წარმოდგენილი იყო და ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მას. ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილად მსგავსი კვლევა ყოველ სემესტრულად ტარდება, თუმცა მსგავსი ფაქტის შესახებ კმაყოფილების კვლევებში არ იყო აღნიშნული, შესაბამისად დასკვნაშიც არის მითითებული რომ ვიზიტის განხორციელების პროცესში იქნა გაჟღერებული.

საბჭოს წევრ აკაკი ხელაძემ დაამატა ასევე თავის კითხვას და აღნიშნა, რომ არავინ არ არის დაზღვეული ნებისმიერ სახის ინციდენტისგან განსაკუთრებით როდესაც ათასეულობით სტუდენტს ეხება საკითხი, მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია სწორი და დროული მექანიზმები,

შესაბამისად მას აინტერესებდა ხომ არ მომხდარა დაზუსტება ინტერვიუს დროს ასეთ ფაქტების შემდეგ რა იყო რეაგირება და როგორ ხდება ამ საკითხების მოგვარება.

ექსპერტმა ლიკა კვინჩიამ აღნიშნა, რომ მათ დააზუსტეს თუ რა მოიმოქმედა სტუდენტმა შეატყობინა თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან ხარისხის სამსახურს, ან ჰქონდა თუ არა შემდგომ კომუნიკაცია თავად ლექტორთან და მან აღნიშნა, რომ არა რადგან, ეგონა მას რომ არ დაუჯერებდნენ, თუმცა თქვა რომ მომავალში თუ კი მსგავსი ფაქტი განმეორდებოდა აუცილებლად შეატყობინებდა შესაბამისი პირებს. შესაბამისად დასკვნაში ამიტომაც იყო ასახული რჩევის სახით რომ კიდევ უფრო გამარტივდეს კომუნიკაცია და ეცადოს უნივერსიტეტი სტუდენტებს და ლექტორებსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო მეტად გამარტივდეს და გამჭვირვალე გახდეს.

საბჭოს წევრ ციური დურულს კითხვა ქონდა დაწესებულებასთან, ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა რა დონეზე გადის კურსდამთავრებული ყველაზე უარეს შემთხვევაში, თუ კი მან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩააბარა ინგლისური და დაიწყო თავიდან შესწავლა, რა დონით ამთავრებს სტუდენტი უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა რომ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია 24 კრედიტის აღება ინგლისური ენის კომპონენტში, შესაბამისად სტუდენტი B1 დონით უნდა ამთავრებდეს პროგრამას იმ შემთხვევაში თუ კი იწყებს დასაწყისი დონით. უკეთეს შემთხვევაში B2 ან C1 დონით ამთავრებს უნივერსიტეტს.

საბჭოს წევრ ციური დურულს ასევე კითხვა ჰქონდა ექსპერტების მიმართ მას აინტერესებდა ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა იმ ნაწილს, სადაც მითითებული იყო იმპერატიულად, რომ სახელმძღვანელოები უნდა იყოს ნათარგმნი იმისათვის რომ გავიდნენ პირველ შედეგზე. გამოდის, რომ თუ არ არის ყველა სახელმძღვანელო თარგმნილი რა სასწავლო კურსების საფუძველზეც გადის პროგრამა პირველ შედეგზე არ მიიღწევა შედეგი და ვიდრე არ თარგმნიან ამ სახელმძღვანელოებს ვერ გავა პროგრამა შედეგზე.

ექსპერტმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა რომ პროგრამაზე ჩაბარება მაგალითად რუსულით ან გერმანულითაც არის შესაძლებელი, შესაბამისად რადგან დასაწყის ეტაპზე მხოლოდ ინგლისური სახელმძღვანელოთ ვერ გავა შედეგზე სტუდენტი, თუმცა პროგრამაში არის ძალიან ბევრი დამატებითი აქტივობები რითაც ის ადამიანი რომელსაც არ ყოფნის კომპეტენცია, ინგლისურ ენაში, მიიღოს სასურველი ინფორმაცია. ბუნებრივია რომ საბაკალავრო დონეზე სჭირდება სტუდენტს რომ ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელოც ჰქონდეს.

საბჭო წევრმა ციურმა დურულმა აღნიშნა, რომ სასურველობის დონეზე ეთანხმება აზრს რომ სასურველია ნამდვილად იყოს ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის, მაგრამ მიიჩნევს რომ სწორედ იმიტომ არის ჩადებული ინგლისური ენის სწავლება 24 კრედიტის ოდენობით რომ ცოდნის ათვისება შეძლონ სტუდენტებმა. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ თავდაპირველად სწავლის დაწყებისას გაურთულდება სტუდენტს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოთი სარგებლობა, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ თავად დაწესებულებაში არის ძალიან ბევრი ხელშემწყობი მექანიზმები სტუდენტებისათვის, სხვადასხვა ტიპის კურსების სახით და ა.შ. რომელიც უზრუნველყოფს დამატებით სიღრმისეულ ცოდნის მიწოდებას. თუმცა, მაგალითად თუ კი სტუდენტმა სხვა უცხო ენით ჩააბარა პროგრამაზე პირველ და მეორე სემესტრში შესაძლებელია მისთვის არ იყოს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო სრულად გამოსაყენებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიხეილ გიორგაძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით დაამატა, რომ ოთხი სემესტრის განმავლობაში საჭირო ლიტერატურა ინგლისურენოვანი უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე და მიმდინარეობს სხვა, როგორც ეს არგუმენტირებულ წერილში იყო ახსნილი დაწესებულების მხრიდან, მუშაობა, რომ სრულად იყოს თარგმნილი ან უბრალოდ რიდერები დამზადდეს.

ექსპერტმა თეონა ლოდიაძემ დააზუსტა რომ შინაარსის ნაწილში დეტალურად მოხდა მის მიერ ჩადრმავება თითოეული სახელმძღვანელოში, პირველი ოთხი სემესტრის კურსები ნამდვილად ძირითადად სახელმძღვანელოები არის ქართულ ენაზე, შესაძლებელია გამრავალფეროვნებაც რომელზედაც დაწესებულება თანახმაა. თუმცა, არის რამდენიმე პრობლემური კურსი, დასკვნაშიც არის ასახული იმ კურსების დასახელება რომელიც პრობლემურია, თუმცა არის მოგვარებადი მით უფრო იმ შემთხვევაში როდესაც დაწესებულების მხრიდან მზაობა არის გამოთქმული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა დოლიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით დაამატა, რომ ძირითადად არის ქართული ლიტერატურა რესურსის სახით, და ესეც შედეგია ინსტიტუტის რამდენიმე წლიანი მუშაობისა, სხვადასხვა კვლევების ფარგლებში ითარგმნა წარმოდგენილი დოკუმენტები. რადგან ყველა ტრენინგ მოდული რაც კი მიწოდებულია სახელმწიფოს მხრიდან ადრეული განათლების მიმართულებით, ეყრდნობა მათ მიერ თარგმნილ ლიტერატურას, რომელზეც გრძელდება მუშაობა. ძირითადად დამატებითი ლიტერატურად არის წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება და თავად პროგრამის განმახორციელებლები არიან ორიენტირებულები რომ სიახლეებს ფეხი აუწყონ სწორედ ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრ გიორგი ლაღანიძეს კითხვა ქონდა დაწესებულებასთან ბიუჯეტთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა 15 სტუდენტი მოვა 33750 ლარი შემოვა და როგორ დავხარჯავთ, 10 რომ მოვიდეს მაშინ რა ხდება სად არის გათვალისწინებული თანხა, თუ არ მოვიდა სტუდენტი გათვალისწინებული რაოდენობით როგორ დაიფარება გარკვეული ხარჯები და ვინ იქნება პასუხისმგებელი, ფაკულტეტი, სკოლა თუ საიდან მოხდება საჭიროების შემთხვევაში ხარჯების მობილიზება.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ არის ინდივიდუალურ პროგრამებზე მიბმული ბიუჯეტი, გამომდინარე იქედან, რომ ხარჯების ნაწილი იფარება ფაკულტეტიდან ნაწილი იფარება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. მაგალითად, აკადემიური პერსონალის ხელფასი, იფარება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, ხოლო მოწვეული ლექტორების ხელფასების ნაწილი იფარება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ასევე აღნიშნა, რომ პერსონალი რომელიც პროგრამაში არის ჩართული, მონაწილეობს უნივერსიტეტის კიდევ სხვა პროგრამებში, კერძოდ კონკრეტული პროფესორის ხელფასი არ ებმის კონკრეტულ პროგრამას, იმიტომ რომ აღნიშნული ლექტორის კურსები შეთავაზებული არის სხვა პროგრამებშიც. შესაბამისად, თუ კი პროგრამაზე არ მოხდება გათვალისწინებული რაოდენობის სტუდენტების მიღება ამ შემთხვევაში დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტი არის გარანტია იმისა, რომ გათვალისწინებული ხარჯები იქნება დაფარული. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება მიიჩნევს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება არის მისთვის პრიორიტეტული და შესაბამისად პროგრამის სუბსიდირება საჭიროების შემთხვევაში ხდება უნივერსიტეტის სხვა შემოსავლებიდან. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის სხვა ძალიან მაღალშემოსავლიანი პროგრამები სადაც არის ძალიან ბევრი სტუდენტი და ბუნებრივია საერთო შემოსავალი რაც აკუმულირდება დაწესებულებაში, შემდეგ ნაწილდება საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე დაამატა რომ პროგრამის განხორციელების პროცესში ისეთი ხარჯები როგორც არის ლიტერატურის შესყიდვა, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯებიც არის განაწილებული ცენტრალური ადმინისტრაციასა და ფაკულტეტს შორის, შესაბამისად ეს საკითხი არი უფრო კომპლექსური ვიდრე შეიძლება ჩანდეს წარმოდგენილ ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარე თამარ ლომინაძეს დასაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მან აღნიშნა რომ დასკვნაში 1.3 ქვესტანდარტში წერია რომ, კომპეტენციების შეფასებისას აუცილებელია, ობიექტურობისა და სანდოობის შენარჩუნება, თუმცა სილაბუსებში ასახული შეფასების სქემები, ნათლად არ ასახავს ქულების განაწილებასა და მინიჭებას, რაც შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას ეჭვის ქვეშ აყენებს ხოლო ამის შემდეგ ეს სტანდარტი



შეფასებულია როგორც „სრულად შესაბამისი“. შესაბამისად, საბჭოს წევრს აინტერესებდა ექსპერტების მხრიდან დაზუსტება, წარმოდგენილი ნარატივის მიუხედავად გაკეთებული შეფასება რა დამატებითმა გარემოებებმა გამოიწვია ის რომ ქვესტანდარტი შეფასებულია როგორც „სრულად შესაბამისი“.

ექსპერტმა თეონა ლოდამ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, იყო დასაზუსტებელი სილაბუსებში შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ეს ასახულია შეფასების ნაწილში და რეკომენდაციაც გაცემულია აღნიშნულთან დაკავშირებით და ინსტიტუციაც დათანხმდა ამ რეკომენდაციას. შესაბამისად, დამატებით რეკომენდაციის გაცემა აღარ მიიჩნია საჭიროდ მოცემულ სტანდარტთან მიმართებით. რადგან, შეფასების ნაწილში ამგვარი შინაარსის რეკომენდაცია გაცემულია.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და სკოლამდელი განვითარებისთვის, მას დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა პროგრამის მეოთხე სწავლის შედეგთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ შედეგი კარგად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მას აინტერესებდა რა კომპონენტით მიიღწევა და არის თუ არა პრაქტიკა გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად. კერძოდ, „ოჯახთან და თემთან იყენებს პატივისცემასა, ნდობაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობების ხელშემწყობ სტრატეგიას“. მას აინტერესებდა აღნიშნულის მიღწევა როგორ ხდება და როგორ აქვს დანახული პროგრამის განმახორციელებლებს აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა დოლიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ნაწილში არის გათვალისწინებული და ერთ-ერთი კომპონენტი არის ორი წლის განმავლობაში სრულად, სტუდენტები ივლიან ბაღებში, და ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება მოხდება მათი მხრიდან. მნიშვნელოვანი პრაქტიკის განხორციელება, როგორც მშობლებთან თანამშრომლობას, ასევე პატარა პროექტების განხორციელებას მშობლებისა და თემის ჩართულობის კუთხით. ამ დროს ხდება რეფლექსური ჩანაწერების განხორციელება, აკეთებენ დავალებებს პროექტებს, პრეზენტაციებს, რომელსაც შემდეგ განიხილავენ ჯგუფში სხვა სტუდენტებისა და ლექტორების წინაშე.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 15:24

დასრულების დრო: 16:16

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული საერთო შეფასება. თუმცა, განახორციელა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, 1.5 ქვესტანდარტში ასრებული რეკომენდაცია რედაქტირდა შემდეგი სახით „რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება.“ ასევე, ამოღებულ იქნა 1.5 ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაცია და 1.1 ქვესტანდარტს დაემატა რჩევა - „დაწესებულებამ განახორციელოს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა.“

## **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>- ემუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიეცეს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2025 წლის 1 ივლისამდე, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**დაწესებულების წარმომადგენლის ნინო ჟვანიას შუამდგომლობის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია 2024 წლის 7 ივნისიდან.**

## **დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება;
- გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებული იყოს დეტალური ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების კრიტერიუმების ან საფუძვლების შესახებ;
- რეკომენდებულია დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
- აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო კრიტერიუმები და მათზე დაყრდნობით შემუშავდეს გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების რუბრიკები/ სქემები ყველა საგანმანათლებლო კურსისთვის, რაც გაზრდის შეფასების სანდოობას და სწავლის შედეგების გაზომვადობას;
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“ (მუხლი 4, ნაწილი 7);
- სასწავლო გარემოში ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით უნდა განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ეს შეიძლება მოიცავდეს ფაკულტეტისა და პერსონალისთვის სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებს და დამხმარე მექანიზმების შემუშავებას მარგინალიზებული ფენის სტუდენტებისთვის;
- უნდა გამოიკვეთოს ბალანსი აკადემიურ, მათ შორის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგობრივი მიმართულებით, რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს;
- დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკაში არის სილაბუსებში მითითებულ ყველა ძირითადი ლიტერატურა (მათ შორის ელექტრონული რესურსები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

## **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- დაწესებულებამ განახორციელოს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა;

- სასურველია გაძლიერდეს კომუნიკაცია სტუდენტებსა და პროფესორ- მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ღია დიალოგს, უკუკავშირის გაცვლას და პრობლემების დროულად გადაჭრას. მოუწოდეთ სტუდენტებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და წარმოადგინონ უკუკავშირი გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებისა და პროგრამის კოორდინატორებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით;
- სასურველია, წარმოდგენილ ბიუჯეტში დეტალურად იყოს აღწერილი პროფესიული განვითარების, სამეცნიერო კვლევისა და სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო თანხები, რათა თვალსაჩინო იყოს ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ზუსტი ხარჯები.

**საბჭოს სხდომაზე მეორე საკითხად განიხილება:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადეს გიორგი ლაღანიძემ და ვასილ კიკუტაძემ**

**აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. ასევე ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტის პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა თავმჯდომარესწარმოედგინა ექსპერტთა დასკვნა.**

ექსპერტთა თავმჯდომარე ეკა ბაკარაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს და განსახილველი საკითხის ირგვლივ განაცხადა, რომ პროგრამა თავის არსით და სპეციფიკით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, მის განხორციელებაში ჩართულია და მონაწილეობს დარგის წამყვანი სპეციალისტები და პროფესორა და გამოხატა მოკრამაღებული პატივისცემა მათ მიმართ. ასევე ცხადია, რომ პროგრამა შეფასდა ეთიკური სტანდარტების დაცვით. აღნიშნა რომ პროგრამა პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო დანარჩენ სტანდარტებთან მიმართებაში როგორც „სრულად შესაბამისობაში” დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნა, რომ პროგრამას მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. პირველი რეკომენდაცია 1.3. კომპონენტთან მიმართებით ეხებოდა, დამსაქმელთა ინტერესების გათვალისწინებას პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურად უზრუნველსაყოფად. დაწესებულებამ წარმოდგინა სამივე საფეხურის პროგრამასთან მიმართებით გაკეთებული ბაზრის კვლევა, ასევე ის სილაბუსები

მტკიცებულებად რომლებიც დამსაქმებეთან რეკომენდაციითა და მოთხოვნით იყო შექმნილი და რომელთა შინაარსშიც გათვალისწინებული იყო დარგის უახლესი მიღწევები, როგორც არის მაგალითად ციფრული ტექნოლოგიები, ტექსტის ექსპერტიზა, კრიმინალისტიკა და სხვადასხვა მიმართულებები. ცხადია ეს დასტურად ასევე პროგრამის მიზნებისა და შედეგების კონკრეტული ფორმულირებით. 1.3. და 2.3. კოპონენტებთან მიმართებით რეკომენდაცია ეხებოდა ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან - ე.წ. „სტიქიქოლდერებთან“. ასევე, სასწავლო კურსების ფარგლებში, შესაბამისი სწავლებისა და სწავლის გამოყენებას და აქედან გამომდინარე ტრენინგების ჩატარებას პერსონალისთვის რაც დაწესებულების მხრიდან ჩატარებული აქტივობებით დადასტურდება. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა, დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონის განსაზღვრას, ვინაიდან აკრედიტაციის პროცესში მისაღებ წინაპირობად განსაზღვრული იყო B1 დონე სამაგისტო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის კომპეტენციების გაუმჯობესების პერსპექტივით. რაც ფაქტობრივად გახდა რეკომენდაციის საფუძველი, დაწესებულებამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაშვების წინაპირობად განსაზღვრა უცხური ენის კომპეტენცად B1 და ასევე B2 დონეზე დაადსტურება. დადგინდა ასევე კონკრეტული ქულები, თუ რომელი ქულათა კომბინაცია შეესაბამება თითოეულ დონეს, ასევე განისაზღვრა საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის გათავისუფლება გამოცდისგან. ასევე დაამატა, რომ სტუდენტი რომელიც B2 დონეზე შემოდის პროგრამაზე ასეთი აპლიკანტი თავისუფლდება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინგლისური ენის კომპონენტის დაუფლების ვალდებულებისაგან. ასევე პროგრამას დაემატა რამდენიმე არჩევითი ინგლისურენოანი სასწავლო კურსი. ასევე, აღნიშნა რომ დაწესებულებამ გამოხატა მზაობა საჭიროების შემთხვევაში კიდევ ერთხელ გადაიხედებოდა დაშვების წინაპირობა. საანგარიშო პერიოდში სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი ხუთივე რეკომენდაცია, ანგარიშზე თანდართული იყო აღნიშნულის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, რომლიც ვადის დაცვით იქნა წარმოდგენილი.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპეტებს შესრულებული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის ტრადიციული პროგრამა, მოგეხსენებათ ლინგვისტიკის სკოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილია თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტით, საკმაოდ ძლიერი სკოლაა, დიდიხნის განმავლობაში აპრობირებული და მუშაობს დიდიხანია. აკრედიტაციის პროცესის შესაბამისად მოხდა გარკვეული საკითხების გადამუშავება და ახლებულად წარმოდგენა შესაბამისად ექსპერტის დასკვნის სახით შედეგიც სახეზეა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა ექსპერტთან, მას აინტერესებდა წინაპირობასთან დაკავშირებული გაცემული რეკომენდაციასთან მიმართებით, კერძოდ, მას აინტერესებდა ექსპერტი მიიჩნევდა თუ არა, რომ გაცემული რეკომენდაცია შესრულებული იყო დაწესებულების მხრიდან. ექსპერტმა ეკა ბაკარაძემ აღნიშნა რომ დასკვნაში მან მიუთითა, რომ გაცემული რეკომენდაცია მეტ წილად არის შესრულებული. საბჭოს წევრმა დამაზუსტებლად იკითხა თუ რის საფუძველზე მიიჩნევდა ექსპერტი რომ მეტწილად იყო შესრულებული გაცემული რეკომენდაცია, რაზედაც ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინაპირობაში განსაზღვრული იყო B1, ხოლო რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაემატა B2 დონეც, რადგანაც პროგრამა არის ქართულენოვანი ასევე თუ B1 ენობრივი კომპეტენციით მოდის სტუდენტი მას აქვს ძალიან ბევრი შესაძლებლობა და რესურსი, რომ შეისწავლოს ინგლისური ენა, სავალდებულო ენის კომპონენტში გათვალისწინებულია ინგლისური ენის კურსები. ასევე სტუდენტს აქვს

შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროექტებში. ის ისმენს უცხოელი პროფესორების მიერ ჩატარებულ ლექციებს, რისი რესურსიც ნამდვილად არსებობს დაწესებულებაში. როდესაც სტუდენტი დაიწყებს კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას, შედეგების ინტერნაციონალიზაციისთვის ექსპერტი, როგორც ენის სპეციალისტის მიიჩნევს, რომ სტუდენტს უკვე უნდა ჰქონდეს მიღწეული B2 დონეზე. ექსპერტმა აღნიშნა რომ B1 ის ნაცვლად B2 რომ ყოფილიყო უმჯობესი იქნებოდა თუმცა, დაწესებულებამ საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა, მათ გადახედეს სილაბუსებს, რამდენჯერმე მოიწვიეს ექსპერტები და საბჭო და, შესაბამისად, მიიღეს გადაწყვეტილება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან მან მიიღო გადაწყვეტილება რომელიც დასკვნაში არის ასახული და მიიჩნია, რომ რეკომენდაცია მეტ წილად იყო შესრულებული. საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია თავიდანვე უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია, რომ არ აღმოჩნდებოდა საბჭო იმ მდგომარეობაში, რომ ფაქტიურად რეკომენდაცია შესრულებული არ იქნებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა და აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ გაცემულ პროგრამის მიმართ, არამედ გაიცა კლასტერულად. აღნიშნა, რომ თავიდანვე უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო მხოლოდ რჩევა და არა რეკომენდაცია. რადგან, არ შეიძლება ყველა პროგრამისთვის სურათი იყოს საერთო, მით უფრო მაშინ, როდესაც წინაპირობა მოდის კონკრეტული პროგრამის მოცემულობიდან. შესაბამისად, მას აინტერესებდა, ის განმარტებითი წერილი რომელიც წინა განხილვის დროს საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიძემ ითხოვა დაწესებულებისაგან, სწორედ დაშვების წინაპირობის განმარტებასთან მიმართებით, მიიღო თუ არა საბჭომ. მან აღნიშნა, რომ მსგავსი წერილი საბჭოს სახელზე გამოგზავნილია და საბჭოს უნდა გადასცემოდა, ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციის თვითმიზანი ვერ იქნება გამოცდა, არამედ რეკომენდაციის მიზანი არის ენის ფლობის კომპეტენციების დადასტურება/გაუმჯობესება, რისი საშუალებაც არის გამოცდა. შესაბამისად აღნიშნა მან, რომ მათ მიერ წარმოდგენილია განმარტებითი წერილი, სადაც თავიდანვე ნამდვილად მიიჩნევდნენ, რომ ქართველოლოგიური პროგრამებისთვის იმპერატიული ხასიათის რეკომენდაცია არ უნდა ყოფილიყო გაცემული, რადგან მოთხოვნა, რომ მხოლოდ B2 დონით უნდა ყოფილიყო შემოსვლა ამ პროგრამებზე, მსგავსი რეკომენდაცია არ იყო მართებული. იმიტომ რომ, ამ პროგრამების მიმართ არსებობს დარგობრივი სტანდარტი, რომელშიც არ მოითხოვება უცხოური ენის B2 დონით პროგრამაზე შემოსვლის აუცილებლობა. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აუცილებლობა პროგრამულმა მასალამ უნდა გააჩინოს. შესაბამისად, ამიტომაც მოხდა ხაზგასმა ენათმეცნიერების ძალიან ძველი სკოლის. თამაზ გამყრელიძის სკოლის მუშაობის მიზანიც სწორედ ეს არის რომ ქართული ენის ლინგვისტურ პროდუქციას ქმნის და ეს ლინგვისტური პროდუქცია როდესაც არსებობს ქართულად, სტუდენტს ქართულენოვან პროგრამაზე რატომ უნდა მივაწოდოთ პროგრამული მასალა. შესაბამისად, აღნიშნა, რომ პროგრამაზე შემოსვლის მომენტში სტუდენტს იმიტომაც არ უდგას B2 დონის საჭიროება, რომ პროგრამული მასალა რასაც ეს პროგრამა ემყარება ის არის მეტწილად ქართულ ენოვანი. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა ის, რომ ინსტიტუციას თავისთავად სტრატეგიაში აქვს ინტერნაციონალიზაცია და სამაგისტრო საფეხური სწავლების ის საფეხურია, საიდანაც ყველაზე მეტად ხშირად ხდება სტუდენტების გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ბუნებრივია, ინსტიტუციაც ზრუნავს იმისათვის რომ ენობრივი კომპეტენცია სტუდენტს აუმაღლდეს. შესაბამისად, B1 ისედაც ბარდებოდა B2 დონემდე კომპეტენციის დადასტურების პირობით. ხოლო, ამ ეტაპზე პროგრამაზე მიღება იქნება, სადაც გამოცდით დადასტურდება B1 და B2 დონე ქულობრივი განსხვავებით. ვინც დაადასტურებს B2 დონეს სავალდებულო წესით მას ინგლისური ენის გავლა პროგრამაზე აღარ მოუწევს, ხოლო ვინც B1 დონეს დაადასტურებს ის გაივლის ორ სემესტრიან ინგლისურის კურსს, რასაც ემატება ეს ახალი დარგობრივი საენათმეცნიერო ინგლისური ენის სასწავლო კურსები, რითაც მიიჩნევს დაწესებულების წარმომადგენელი, რომ ენის ფლობის დონის გაუმჯობესების სტრატეგია და ფაკულტეტის პოლიტიკა, ჩანს.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მას რაიმე ტიპის განმარტებით ბარათზე საუბარი არ ჰქონია და არც საჭიროდ მიიჩნევს ამგვარი ბარათის არსებობას, თუმცა საინტერესო იქნება მისი გაცნობა, თუ ამის საჭიროება იქნება. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არის ცალსახად განსაზღვრული, რომ მიღების წინაპირობად უნდა იყოს განსაზღვრული ცალსახად B2 დონე, ეს რეკომენდაცია იყო საბჭოს მიერ მიღებული და გაზიარებული, ხოლო დღევანდელი წარმოების შეფასების საკითხი იყო გაცემული რეკომენდაციების შესრულება არ შესრულების საკითხი, სწორედ ამის ფარგლებში უნდა ყოფილიყო შეფასებული ექსპერტის მხრიდან და ახლა უკვე საბჭოს მხრიდან იქნას შეფასებული. თუმცა, ასეც რომ არ იყოს B1 დონეზე აბიტურიენტი ადასტურებს თავის ცოდნას, როდესაც საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება, საბაკალავრო პროგრამაზე თავისთავად კიდევ იმაღლებს უცხო ენის კომპეტენციას, ამდენად, გასაკვირი და უცნაური არ უნდა იყოს, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული იყოს B2 დონე. რადგან, სტუდენტს სჭირდება უცხო ენაზე მასალების გაცნობა და რომ ითქვას B2 დონეს იღებს სტუდენტი პროგრამის ფარგლებში, გაცემული რეკომენდაციის შესრულების დასტურად ვერ იქნება მსგავსი არგუმენტი გაზიარებული, განაცხადა საბჭოს წევრმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დარეჯან გარდავაძემ დაამატა, რომ განმარტებითი წერილი არა მხოლოდ მომზადებული, არამედ გამოგზავნილიც არის მათ მიერ, წესით საბჭომდე უნდა მისულიყო. ასევე კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მოცემულობას, რომ დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც იქმნება კონკრეტული დარგისათვის, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს დარგებსაც და პროგრამებსაც. გამომდინარე აქედან, დარგობრივ მახასიათებელი რომელთა შესაბამისობაც პროგრამას მოეთხოვება არ ითხოვს, დარგის პროგრამების სავალდებულო წესით B2 დონეს შემოსასვლელად. რაც შეეხება მოცემულობას, რომ B1 დონით აბიტურიენტი შემოდის საბაკალავროზე ეს ასე არ არის, რადგან, იგი არის სასკოლო B1 დონე. დარგობრივ მახასიათებელზე მიუთითა კიდევ ერთხელ და აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ დარგობრივ მახასიათებლის შექმნის მიზანი არის ის რომ პროგრამების შექმნის ეტაპზე შესაბამისობაში იყოს სწორედ ამ დოკუმენტთან. განმარტებით ბარათში მაგალითად აქვს მითითებული, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ მაგალითად მედიცინის პროგრამისთვისაც კი დარგობრივ მახასიათებლის დოკუმენტაცია, რომელსაც პროგრამა შექმნისას უნდა ემყარებოდეს მეტ წილად ინგლისურ ენოვანი დოკუმენტაციაა, ამის მიუხედავად მედიცინის უმაღლესი დარგობრივ პროგრამა ითხოვს B1 დონით შემოსვლას პროგრამაზე და შემდეგ დარგობრივი ენის სწავლებას პროგრამაზე და ქართველოლოგიაში, სადაც ამისა აუცილებლობა არ არსებობს შედეგზე გასვლისთვის, მსგავსი რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ არსებობდა და იგი მხოლოდ რჩევის სახით უნდა ყოფილიყო დასკვნაში მითითებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ქიმერიძემ დაამატა რომ სასკოლო B1 დონეზე ითხოვენ საკომუნიკაციო დონეზე დასრულებულს. ენის მცოდნეები დაადასტურებენ აღნიშნულს, ხოლო რაც შეეხება იმ B1-ს, როდესაც შემდგომ ბაკალავრიატში კურსების მიხედვით ვთავაზობთ, შევსებულია დარგობრივი ცოდნით, არა მხოლოდ საკომუნიკაციოდ. ეს დასტურდება სილაბუსების მიხედვითაც, ამასაც მიაწვდის საბჭოს თუ საჭირო გახდება. აქ იგულისხმება B1 დონის დარგობრივი, რომელსაც შემდეგ დააშენებს. აპლიკანტი, ვინც მოდის B1 დონეზე 2 კურსი აქვს იმისათვის, რომ შეივსოს დარგობრივი მიმართულებით, და მივიდეს იმ დონეზე, რომ B2 დონეზე შემდგომ დარგობრივად შეძლოს მესამე საფეხურზე თავისი ცოდნის გამოჩვენება.

საბჭოს წევრმა ციური დურულმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა ექსპერტის მიმართ. მას აინტერესებდა როგორ აკეთებს უნივერსიტეტი მაგისტრანტი კანდიდატების რანჟირებას ჩარიცხვისას, როდესაც სხვადასხვა დონე აქვს ჩაბარებული სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენა არის გადამლახავი მხოლოდ და მხოლოდ სპეციალობის გამოცდა არის ჩარიცხვისას. ანუ ქულებს არ ეძლევა მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, გადამწყვეტი არის სპეციალობის გამოცდა.

ექსპერტმა კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძის მიერ დასმულ კითხვაზე და აღნიშნა, რომ შარშან კლასტერული აკრედიტაციის გავლის პროცესში მიიღო მონაწილეობა. 6 სხვადასხვა დარგის ექსპერტთან ერთად წარმოდგენილ იქნა 4 ან 5 სამაგისტრო პროგრამა და ეს რეკომენდაციაც კლასტერული იყო. ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა სასწავლო სავალდებულო რესურსად მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. შესაბამისად. აქედან გამოჩნდა ეს პრობლემა, რის საფუძველზეც დაიწერა ეს რეკომენდაცია. საბჭოს წევრს გოჩა თუთბერიძეს დამაზუსტებლად აინტერესებდა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამასთან მიმართებაში მსგავსის სახის რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული თუ ზოგადად კლასტერთან მიმართებით იყო რაზედაც ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამასთან მიმართებით არ ახსოვს თუმცა რადგანაც განსახილველად წარმოდგენილია ენათმეცნიერების პროგრამა რომლის ძირითადი წყაროები არის ქართულენოვანი, ამიტომაც მოხდა მის მიერ გაცემული რეკომენდაციის შემსუბუქება.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:45**

**დასრულების დრო: 17:13**

## **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიიღო ცნობად.

თუმცა აკრედიტაციის საბჭოს აქვს რჩევა დაწესებულების მიმართ, რომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ინტერნაციონალიზაციასა და უცხოური ენის საკითხებს, რადგან მოგეხსენებათ ქართველოლოგია და ქართული ლინგვისტიკა ეს არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები რაც უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი კონფერენციები იქნება ეს თუ სხვა სიმპოზიუმები ეს ყველასთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი საკითხი არის განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ.

## **საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე განსახილველი, დღის წესრიგით გათვალისწინებული, მესამე და მეოთხე საკითხი ერთად ყოფილიყო განხილული საბჭოზე, კერძოდ:**

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციასა და ექსპერტს, თანახმა იყვნენ თუ არა რომ ორივე საკითხი ერთად ყოფილიყო განხილული საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ თანახმა იყვნენ ერთად მომხდარიყო აღნიშნულის საკითხების განხილვა.

**მესამე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**  
✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**  
✓ კი

**თვითაცილება განაცხადეს გიორგი დაღანიძემ და ვასილ კიკუტაძემ**

**აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას განსახილველ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს.

**მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტის პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია ორივე პროგრამასთან დაკავშირებით.**

ექსპერტმა მერაბ ჭუმბურიძემ განაცხადა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტი შედგა 2022 წლის 9 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით, ისტორია არქეოლოგიის კლასტერთან მიმართებაში და ამჟამად ორი პროგრამა არის, ანგარიშის შესაბამისობასთან წარმოდგენილი ეს არის „საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა“ და „ახალი და უახლესი სამაგისტრო პროგრამა“. დასკვნაში ექსპერტებმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა არის შესაბამისობაში ხუთივე სტანდარტთან მიმართებაში და სწორედ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე გაიცა ოთხი რეკომენდაცია. აღნიშნა, რომ ოთხივე რეკომენდაცია პრაქტიკულად იდენტურია, რადგან ისინი ძირითადად გაცემულ იქნა კლასტერული ნიშნით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსახილველ ორივე პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა, სილაბუსების ნაწილს, კერძოდ რიგ სილაბუსებში ასახულიყო სწავლის შედეგები, რადგანაც ეს რეკომენდაცია კლასტერული იყო ცალკეულ პროგრამებთან მიმართებაში იგი არ იქნა



დაკონკრეტებული თუ რომელ სასწავლო კურსებს შეეხებოდა აღნიშნული, შესაბამისად უმაღლესმა საგანამართლებლო დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია აღიქვა იმგვარად, რომ თუ კი სააკრედიტაციო ვადაში მოხდებოდა რაიმე ცვლილება ის ყოფილიყო მკაფიო მიმართებაში პროგრამის სწავლის შედეგებთან, იმიტომ რომ აკრედიტაციის დასკვნის თანახმად, ორივე პროგრამასთან მიმართებაში იყო მითითებული რომ სწავლის შედეგები, მკაფიოა და ისინი წარმოდგენილი და ასახულია სილაბუსებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ისტორიის საგანამართლებლო პროგრამაში არსებითი სტრუქტურული ცვლილება არ განხორციელებულა, მხოლოდ 7 სასწავლო კურსის სილაბუსში იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები და ეს ცვლილებები მოვიდა შესაბამისობაში პროგრამის მიზან-შედეგებთან, ხოლო რაც შეეხება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, აღნიშნა ექსპერტმა, რომ, დასახულია პროგრამის სწავლის შედეგები და აქედან გამომდინარე ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა რომ რეკომენდაცია შესრულებულია. ხოლო, რაც შეეხება მეორე პროგრამას ახალი და უახლესი ისტორიის პროგრამას, იქაც ანალოგიური შინაარსის რეკომენდაცია იქნა გაცემული და იქაც რაიმე განსაკუთრებული სტრუქტურული ცვლილება არ განხორციელებულა. განსხვავებით საქართველოს ისტორიისა, აქ დაემატა ორი უცხო ენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი რომელთა სილაბუსებში ასევე აისახა პროგრამის სწავლის შედეგები და 5 სასწავლო კურსის სილაბუსში იქნა გარკვეული ცვლილებები შეტანილი, რომელიც ასევე შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის მიზანთან და შედეგებთან, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია რომ რეკომენდაცია იყო შესრულებული. რაც შეეხება, მეორე რეკომენდაციას, ესეც კლასტერული რეკომენდაცია იყო, და გულისხმობდა იმას, რომ უნდა გაუმჯობესებულიყო სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სიტემა და ჩამოყალიბებულიყო ერთგვაროვანი სახით რათა სტუდენტებს ჰქონოდათ საშუალება მიეღოთ ინფორმაცია საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამქვეყნებამდე. დაწესებულებამ გაატარა რამდენიმე ღონისძიება, რომ გაუმჯობესებულიყო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აღნიშნა ექსპერტმა, ასევე შემუშავებული იყო ახალი მექანიზმი, რომელიც უკავშირდებოდა სტუდენტთა ინტერსების ჩადრმავებული თვისობრივი კვლევის მიმართულებით ფიკუს ჯგუფებთან ინტერვიუებებს და ამან მისცა დაწესებულებას საშუალება მიეღოთ მონაცემები არა მხოლოდ ცალკეული კურსის, არამედ მოდულის შეფასებისათვის. ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმა და მიმდინარეობს ყოველწლიური რაოდენობრივი ანონიმური გამოკითხვა და ასევე დაინერგა მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლათფორმა, რომლის მეშვეობით უკვე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის გამოკითხვის ჩატარება და მონაცემების გაანალიზება, ამ პლათფორმის მეშვეობით სტუდენტს შეუძლია ნახოს შუალედური და საბოლოო შეფასებები, მათ შორის ელექტრონული უწყისების სახით, რომელსაც თან ახლავს მსგავსი სქემა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიიჩნიეს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ქმედებები ემსახურება სტუდენტების კმაყოფილების კვლევის გაუმჯობესებას და ორივე პროგრამის მხრიდან რეკომენდაცია არის შესრულებული. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა რიგი სასწავლო კურსებისათვის ლიტერატურის რაოდენობრივ შესაბამისობაში მოყვანას, სასწავლო კურსის კრედიტებისათვის განსაზღვრული რაოდენობით, რაც შეეხება საქართველოს ისტორიის პროგრამას აქ საანალიზოდ წარმოდგენილ იქნა 7 სალექციო კურსი და ანალიზმა გვაჩვენა რომ 5 სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის არსებობა ადეკვატურია კრედიტების რაოდენობასთან და ორ სასწავლო კურსში ლიტერატურის რაოდენობა ცოტა მეტი იყო, მაგრამ აღსანიშნავია რომ ეს სასწავლო კურსი და ლიტერატურა რომელიც წარმოდგენილია ძირითადად არის ფეოდალური ხანის წყაროების თვალსაზრისით და რადგან ისინი წყაროებია, შესაბამისად მიჩნეულ იქნა, რომ რაოდენობა არ არის ზედმეტი და ასევე მიჩნეულ იქნა, რომ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამამ შეასრულა წარმოდგენილი რეკომენდაცია. რაც შეეხება ახალ და უახლესი სამაგისტრო პროგრამას აღნიშნა ექსპერტმა, რომ წარმოდგენილ იქნა 5 სასწავლო კურსი. 4 კურსიდან, მათ შორის სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა ადეკვატური იყო კრედიტების რაოდენობასთან, მხოლოდ ერთი აღემატებოდა კრედიტების მითითებულ რაოდენობას. ექსპერტებმა შეაფასეს

წარმოდგენილი პროგრამა დადებითად, მიიჩნის, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო „მეტწილად“. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე იქნა მიჩნეული რომ მეტწილად შესრულებული იყო გაცემული რეკომენდაცია ამ ნაწილში.

რაც შეეხება, შემდგომ რეკომენდაციას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ესეც კლასტერული იყო. მოწოდებული იყო, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტებულიყო მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, გაითვალისწინეს ეს რეკომენდაცია, მაგალითად საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსის ნაწილში ირკვევა რომ მართლაც მოხდა განახლება ლიტერატურის და შესაბამისად საბჭომ მიიჩნია, რომ რეკომენდაცია იყო შესრულებული. რაც შეეხება ახალი და უახლესი, ისტორიის პროგრამას, შესწავლილი იქნა 5 სასწავლო კურსის სილაბუსი და ამ ნაწილშიც დადგინდა რომ განახლებული იყო ლიტერატურა და მითითებულ იყო ახალი, ბოლო წლებში, გამოცემული ლიტერატურა სასწავლო მასალად. შესაბამისად, მიიჩნია ექსპერტმა ჯგუფმა რომ რეკომენდაცია იყო შესრულებული. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა იმუშავა გაცემული რეკომენდაციების მიმართულებით და შეასრულა ისინი. რაც შეეხება რჩევას აქაც ორივე პროგრამის მიმართ იქნა გაცემული 12-12 რჩევა რომლის შესრულებაზეც იმუშავა დაწესებულებამ. რჩევების ნაწილი შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, იყო მკაფიოდ ასახული, აღნიშნა ექსპერტმა, თუმცა ნათლად უნდა ჩანდეს სილაბუსებში აღნიშნული საკითხი. დაწესებულებამ წარმოადგინა მასალები საიდანაც დადასტურდა, რომ სწავლის შედეგები ნამდვილად არის მკაფიოდ წარმოდგენილი, მაგალითად საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ტრანსფერული შედეგების უნარების შემუშავებისა და მათ შესახებ მხარეებთან კომუნიკაციისათვის უნივერსიტეტმა გამოიყენა სხვადასხვა საშუალებანი, და განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის რომ ტრანსფერული უნარების ნაწილში აქტიური იყო მუშაობა დამსაქმებელთან, რის საფუძველზეც იქნა მიჩნეული, რომ წარმოდგენილი რჩევა იქნა გათვალისწინებული. იგივე შეიძლება ითქვას ახალი და უახლესი პროგრამის მიმართ. რაც შეეხება მომდევნო რჩევას დაახლოებით ერთი და იგივეა, თუმცა ძალიან საინტერესოა ერთ-ერთი მაგალითად ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არ არსებობის პირობებში ელექტრონული რიდერების შექმნა, ეს რჩევა ორივე პროგრამის მიმართ იყო გაცემული. მართალია ანგარიშში არ იყო დაკონკრეტებული თუ რომელი კურსის ფარგლებში იქნა შემუშავებული რიდერები, თუმცა უნივერსიტეტმა წარმოადგინა პლათფორმა სადაც არის კურსები ატვრითული, აქ იძებნება ორივე პროგრამის სასწავლო კურსებთან მიმართებით ელექტრონული სახის რიდერები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემდეგი რჩევა საქართველოს ისტორიის პროგრამის ნაწილში განსხვავებულად არის წარმოდგენილი, მაგალითად რიდერებსა და სახელმძღვანელოებში უნდა ყოფილიყო კურსის დასახელება და შედგენის წელი, თუმცა ექსპერტმა დასკვნაში არ იყო გამოყოფილი თუ რომელ კურსებთან მიმართებით გაიცა კონკრეტულად ის რჩევა, დაწესებულება მიუთითებდა, აღნიშნა ექსპერტმა, რომ რადგანაც ელექტრონული ბაზა მუდამ განახლების პროცესშია შესაძლებელია ამიტომაც არ ჰქონდა მითითებულ კონკრეტულ კურსს შესაბამისი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა რომ კონკრეტულად არ ჩანდა თუ რა ღინისძიებები გაატარა დაწესებულებამ აღნიშნული რჩევის შესრულებისათვის, ასევე მიუთითა რომ არსებობდა დაწესებულებაში პლათფორმაზე ორივე პროგრამის გვერდი და იძებნებოდა სასწავლო რიდერები, რომელიც მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი და ავტორის ვინაობაც იყო მითითებული. კიდევ ერთი რჩევა შეეხებოდა, რომ საქართველოს ისტორიის ნაწილში უნდა დაკონკრეტებულიყო ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, შესაბამისად როგორც რეკომენდაციების ნაწილში იქნა დადგენილი, 34 სილაბუსი არის განახლებული შესაბამისად მიიჩნის ექსპერტებმა რომ ეს რჩევაც იყო შესრულებული. კიდევ ერთი რჩევა იყო კლასტერული, რაც გულისხმობდა თითოეულ მაგისტრანტს შეძლოდა საბაკალავრო პროგრამიდან არჩევითი საგნების აღება, თუმცა რჩევასთან მიმართებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა პოზიცია, რომ უნივერსიტეტში ამჟამად არ არსებობს საფუძველი რაც ამ პრეცედენტის დაშვების შესაძლებლობას მისცემს, შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა ამჟამად მოქმედ ნორმატიულ საფუძველს. მაგრამ, უნივერსიტეტში არსებობდა პრაქტიკა, რომ შეიძლება მაგისტრანტმა საბაკალავრო

საფეხურიდან გაიაროს კურსი მხოლოდ თვისუფალი კრედიტების ფარგლებში და ინდივიდუალურად შედგენილი გემის მეშვეობით და რადგანაც ამ დროისათვის დაწესებულებაში არ არსებობდა საფუძველი, ექსპერტი იზიარებს დაწესებულების პოზიციას. შემდეგი რჩევა კლასტერული იყო აღნიშნავს ექსპერტი და შეეხებოდა იმას რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ყოფილიყო ყველათვის ხელმისაწვდომი მათ შორის ონლაინ პლატფორმებზე და ხაზგასმული იყო განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამაზე. გათვალისწინების ვალდებულა მართალია არ ჰქონდა, თუმცა ახალი და უხლესი ისტორიის პროგრამაში მითითებულია რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. გამოდინარე აქედან, ამ რჩევის პირველი ნაწილი იქნა გათვალისწინებული, აღნიშნა ექსპერტმა. ასევე მიუთითა, რომ ერთ-ერთი რჩევა შეეხებოდა ორიენტირებული სტაჟირების პროგრამის ნაწილს კლასტერში შემავალი პროგრამის სტუდენტებისათვის, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორიენტირებული სტაჟირება შეიძლება არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ისტორიის პროგრამაში, თუმცა აქ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ეროვნულ არქივსა და მუზეუმში, რომელიც უტოლდება ორიენტირებულ სტაჟირებას. წარმოდგენილი მემორანდუმებისა და სილაბუსების შესაბამისად ექსპერტებმა მიჩნიეს რომ ეს რჩევა დაწესებულების მხრიდან იყო შესრულებული. რაც შეეხება, ახალი და უახლესი ისტორიის პროგრამას მიუთითა ექსპერტმა, რომ აღნიშნული არ ითვალისწინებს პრაქტიკას თუმცა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მემორანდუმების საფუძველზე გაიარონ სხვადასხვა სახის სტაჟირება. კიდევ ერთი სახის რჩევა იყო საკომუნიკაციო არხების გაძლიერება სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას შორის, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რჩევა და შეიქმნა ახალი პლატფორმა, რომელიც ნამდვილად აძლიერებს საკომუნიკაციო საშუალებას ორივე პროგრამის სტუდენტების, ფაკულტეტისა და ცენტრალურ ადმინისტრაციას შორის. ასევე იყო რჩევა გაცემული რომ გაძლიერდეს მაგისტრატნთა მხარდაჭერის მექანიზმები, განსაკუთრებით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობის მიზნით, შესაბამისად გამომდინარე იქედან, რომ პროგრამების წინაპირობად გათვალისწინებულია უცხი ენის B1 დონე, ასევე პროგრამაში შეტანილია 10 კრედიტის მოცულობით ენის კომპეტენციის ასამაღლებელი კურსები, ასევე კლასტერული ანგარიშით წარმოდგენილია გაცვლით პროგრამაში სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობა, ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ წარმოდგენილი რჩევა იყო შესრულებული. კიდევ ერთი საკითხი იყო დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვასთან დაკავშირებით უცხო ენების კურსებში, სამწუხაროდ ამ რჩევის გათვალისწინება ვერ მოხერხდა, ორივე სასწავლო კურსი, რომელიც იყო მტკიცებულებად ჩადებული მათი სილაბუსები არ იყო წარმოდგენილი შესაბამისად ვერ მოხდა შემოწმება, რამდენად იყო დარგობრივი ენის კომპეტენცია მასში ჩართული. ერთ რჩევა ეხებოდა კლასტრული პროგრამების სამაგისტრო ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის პერიოდულ გადახედვას, დაწესებულების პოზიცია იყო ის, რომ სადოქტორო ნორმების მაქსიმალური დატვირთვის გადახედვა იგეგმება სამომავლოდ, თუმცა სამაგისტრო ნორმების ხელმძღვანელების დატვირთვის გადახედვას ინსტიტუცია არ აპირებდა, რადგან რეგულირდება ეს როგორც დოქტორანტურის დებულებით, ასევე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით, შესაბამისად აღნიშნა ექსპერტმა, რომ ამ კუთხით რაიმე პრობლემა ექსპერტთა ჯგუფს არ დაუნახავს. ასევე აღნიშნა, რომ კიდევ ერთი საკითხი ეხებოდა თანხების მოზიდვას სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კერძოდ, თანხების მოძიებას ცალკეული პროექტების განხორციელებისათვის, ამ მიზნით, საანალიზოდ წარმოდგენილია ბიუჯეტი სადაც ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ამ კუთხი უნივერსიტეტის მიერ, თუმცა წარმოდგენილი იყო კლასტერული სახით და არა დაწვრილებით თითოეული პროგრამის მიმართ დეტალური ანგარიში აღნიშნა ექსპერტმა.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ანგარიშში ასახული იყო ის სამუშაო რაც ჩატარდა ექსპერტების რეკომენდაციების შესრულებისათვის და აღნიშნა, რომ თავდაპირველად ორივე პროგრამაზე აკრედიტაციის დასკვნა იყო, რომ პროგრამა შესაბამისი იყო დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე გაცემული რჩევებიც. ასევე აღნიშნა რომ არცერთი კურსის მიმართ კონკრეტული რჩევები არ გაცემულა, არამდე იყო კლასტერული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

თემურ პაპასკირმა დაამატა რომ რადგან მუდმივად ხდება განახლება სილაბუსების, ექსპერტებისთვისაც წარდგენილი იყო ანგარიშის სახით, მხოლოდ ის სილაბუსები რომელიც იყო განახლებილი. მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ კითხვა არ ჰქონდა, თუმცა აღმოაჩინა ტექნიკური ხარვეზი და მიიჩნია რომ ჯობდა ყურადღება გაემახვილებინა მასზე, კერძოდ, ახალი და უახლეს ისტორიასთან მიმართებით არის მითითებული, რომ ყველა სტანდარტი არის შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის პირველ სტანდარტში. აქ საუბარია იმაზე, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ შეიცვალა და გახდა მეტწილად შესაბამისობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდებოდა განსახილველი ანგარიშის წარმოდგენა. აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომ მითითება იყო საბჭოს მიერ დაშვებული ტექნიკურ ხარვეზზე, რომელიც გამოსწორდებოდა. თემურაზ პაპასკირმა აღნიშნა, რომ ცენტრს მიმართა კითხვით, რომ დაეზუსტებინა ეს საკითხი, თუმცა პასუხი არ მიუღიათ. დაწესებულების წარმომადგენელმა დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ბატონმა გოდერძი ბუჩაშვილმა დასკვნის გამოცხადებისას დაადასტურა ის, რომ ყველა სტანდარტთან სრული შესაბამისობა იყო, თუმცა ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენა დაევალა.

ექსპერტმა მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ ჩახედა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც საქმეში დევს, ხუთივე სტანდარტთან მიმართებაში ორივე პროგრამა მონიშნულია „სრულად შესაბამისია“.

დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში რეკომენდაციები გაცემულია 1.2, 1.3, 1.4 და 1.5 ქვეპუნქტებთან მიმართებით, გადანაწილებულია პირველ სტანდარტის კომპონენტებში, შესაბამისად, ამ ვითარებაში შეუძლებელია დარჩენილიყო, რომ სრულად შესაბამისია დადგენილ მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ დააფიქსირა ტექნიკური ხარვეზი და შემდგომ ცენტრი იმსჯელებდა ამ საკითხზე.

საბჭოს წევრ დავით გეგეჭკორს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტთან მეექვსე რჩევასთან მიმართებით, სადაც აინტერესებდა ტექნიკური ხარვეზი, ხომ არ იყო აღნიშნული ჩანაწერი, სადაც ნახსენები იყო რომ „სადოქტორო პროგრამისათვის“, რადგან აქ საუბარი არის საბაკალავრო პროგრამაზე, თქვენ შეამოწმეთ სამაგისტრო პროგრამა და ცოცხალი ჩანაწერი ბუნდოვანი და გაუგებარია ჩემთვის.

ექსპერტმა მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ ეს არის კლასტერული რჩევა რომელიც გადავიდა ყველა პროგრამაში, იმიტომ რომ კლასტერი აკრედიტაციის პროცესში იყო დასმული რამდენად შეესაბამებოდა, მაგალითად აკადემიური პერსონალი რომელიც იმავე დროს შეიძლება ყოფილიყო და არის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი და მათ მიერ ხელმძღვანელობის პროცესში, მაგალითად ზოგს ჰქონდა სამი, ზოგს შვიდი ნაშრომი აღებული და რამდენად იყო ეს ადეკვატური. შესაბამისად აქედან გამოდინარე იყო გაცემული ეს რჩევა.

ასევე, მის მიერ დაისვა კიდევ ერთი დამაზუსტებელი კითხვა ინსტიტუციისა და ექსპერტის მიმართ, კითხვა ეხებოდა მეთორმეტე რჩევას, რომელიც მოიაზრებდა თანხების მოძიებას სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევის განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, მას აინტერესებდა შესრულებული რეკომენდაცია რა კუთხით იყო შესრულებული. რა თანხებთან დაკავშირებით იყო საუბარი. დაწესებულების

წარმომადგენელმა დარეჯან გარდავაძემა აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი იყო ორი წლის განმავლობაში სტუდენტურ პროექტებზე განაწილებული ბიუჯეტი და ორივე პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ყველა მათ მიერ აღებულ, კონკრეტულად-რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან აღებულ ყველა პროექტში განმახორციელებელ პერსონალში ყველგან ჩართული ჰყავთ დოქტორანტები და რიგ შემთხვევებში მაგისტრანტებიც. კლასტერული სურათი ასეთია რომ სტუდენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არის ჩართული სამეცნიერო პროექტებში.

ასევე ექსპერტმა დააზუსტა, რომ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ინსტიტუტი ისტორიის შემსწავლელი სადაც არის უნივერსიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული შიდა პროექტები.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 19:42

დასრულების დრო: 19:50

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭომ მიიღო ცნობად.

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში, საბჭომ მიიღო ცნობად.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი:**

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

### **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

### **თვითაცილება განაცხადა გიორგი ლაღანიძემ**

### **აცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

### **მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტის პოზიციის განხილვა**

### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.**

ექსპერტი გიორგი მახარობლიშვილი მიესალმა საბჭოს ხდომაზე დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიმართ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იქნა მხოლოდ ოთხი რეკომენდაცია. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა შეფასების პროცედურების ნაწილს, პროგრამა საჭიროებდა უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭირვალე განმარტებას და აღწერას, დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების ანგარიშისა და საგამოცდო დებულების შესაბამისად, საგამოცდო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩვენებლის ნაწილი, დაწესებულებამ, დეტალურად განმარტა, აღწერა მის პროცედურები ტექნიკურად წარდგენის პროცედურები და ვადები. ასევე ე.წ. სააპელაციო კომისიის შექმნისა და მათ მიერ აპელაციის შედეგების განხილვის პროცედურა. დაწესებულებას მიღებული აქვს შესაბამისი ცვლილება რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, აღნიშნა ექსპერტმა, ასევე მიუთითა, რომ მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის პრაქტიკული მობილობის პოლიტიკას, სადაც სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში ჩართულობა ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობა იქნებოდა ხელშეწყობილი, ამ ნაწილშიც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს, რომ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ის თანამშრომლობს საერთაშორისო ექსპერტებთან და მასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა წარმოდგენილიყო რჩევები საერთაშორისო თანამშრომლობისა თუ ინტერნაციონალიზაციის თაობაზე. დაწესებულების ხედვა იყო ამგვარი. წარმოდგენილი ხელშეკრულება დადასტურებულია და ერთვოდა თვითშეფასების ანგარიშს და წარმოდგენილი იყო ის რჩევები, რომელიც გაცემულ იქნა საერთაშორისო ექსპერტის მიერ. ექსპერტმა ასე არნიშნა, რომ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში საუბარი არის სამართლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შექმნის თაობაზე რომელიც საერთაშორისო დონეზე უცხოენოვანი სტუდენტების მობილიზების ხელშემწყობ ფაქტორად აქვს დაწესებულებას განსაზღვრული. ასევე აღნიშნა, რომ გამომდინარე იქედან რომ ინტერნაციონალიზაცია გრძელვადიან პერსპექტივას უკავშირდება, ამ მხრივ დაწესებულებას მიღებული აქვს საჭირო ღონისძიებები. ასევე აღნიშნა,

რომ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილვის ეტაპზე აქვს, რაც მთლიანად დაწესებულების ინსტერნაციონალიზაციის საკითხისკენ გადადგმულ ნაბიჯად აქვს განხილული. ამ ნაწილში გაცემული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის აქტიურობას სამეცნიერო სფეროში, კვლევებში, კომფერენციებში და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ნაწილში, ამ მხრივ დაწესებულებას სამეცნიერო აქტივობების გაზრდის და მეცნიერების პოპულარიზაციის გაზრდის, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარების და არსებული კავშირის განვითარების მიზნით შექმნილია აქვს კვლევითი ცენტრი და შესაბამისად ცენტრის დებულებაც აქვს ჩამოყალიბებული, რომლის მიზანია სამეცნიერ კვლევითი საქმიანობის პოტენციალის გაზრდა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობის გაღრმავება და მხარდაჭერა. ამ ნაწილში, აღნიშნა ექსპერტმა, რომ სამომავლოდ შედეგი უფრო მეტად იქნება შეფასებელი თუ რეალურად რა კონფერენციები იქნება ჩატარებული, კვლევის როგორი შედეგი განისაზღვრება. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური წერის სილაბუსის შესწორებას, გარკვეული საკითხის გათვალისწინებას, კერძოდ იურიდიული სამეცნიერო დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხების გათვალისწინებას, ისეთი როგორც არის ნაშრომის სტრუქტურა სათაური, დასკვნა და ა.შ. ამ ნაწილშიც უნდა აღინიშნოს რომ, დაწესებულების მხრიდან სილაბუსი მოდიფიცირებულია, აღნიშნა ექსპერტმა, კერძოდ, რეკომენდაციის შესაბამისად დამატებული აქვს საკითხად და განსაზღვრულია, რომ იურიდიული-სამეცნიერო დოკუმენტების აგება-მომზადება და მათ შორის გათვალისწინებული ნაშრომის სტრუქტურა რომელშიც შედის სათაური დასკვნა, ბიბლიოგრაფია და ა.შ. აკადემიური წერის სილაბუსთან მიმართებით ასევე, წარმოდგენილი აქვს დაწესებულებას, რომ სავალდებულო ლიტერატურას ერთვის ა.დოლიძის სახელმძღვანელო, აკადემიური ლიტერატურა სამართალში, დაემატა. შესაბამისად, ამ ნაწილშიც შეიძლება რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალოს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, სალომე პირველი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ინსტრუქციამ იმუშვა გაცემული რეკომენდაციის შესრულებაზე. გაიზიარა ყველა გაცემული რეკომენდაცია და რჩევა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრ დავით გეგეჭკორს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მას აინტერესებდა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან და სტუდენტის აქტივობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილი იყო „ ERASMUS+” ამ მიმართულებით თუ აქვს დაწესებულებას რაიმე მცდელობები გაკეთებული. რადგანაც რეკომენდაცია შესრულებულად იქნა ჩათვლილი ექსპერტების მხრიდან, მას აინტერესებდა ამ კუთხით დაწესებულების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანჟელა აბულაძემ განაცხადა რომ „ ERASMUS+” დაკავშირებით დაიწყო დაწესებულებამ მუშაობა და განაცხადი შეაქვთ შემოდგომაზე. ბულგარეთის უნივერსიტეტთან ერთად ეს პროცესი დაწყებულია, და ასევე აღნიშნულ უნივერსიტეტთან მიმართებით ხორციელდება ერთობლივი პროექტი ჩაშვებულია სამართლის მიმართულებით, „საკუთრება როგორც კონსტიტუციური უფლება” და შემოდგომაზე ერთობლივი განაცხადი იქნება წარდგენილი როგორც უკვე აღნიშნა.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთან, მან აღნიშნა, რომ აქ საუბარია აკადემიური პერსონალის აქტიურობაზე სამეცნიერო სფეროში, კერძოდ, კვლევის ჩატარება, კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. მას აინტერესებდა წარმოდგენილ მტკიცებულებებში რადგან არ

იძებნება კონკრეტულად ამ რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულება, რის საფუძველზე მიიჩნია ექსპერტმა, რომ გაცემული რეკომენდაცია იყო შესრულებული.

ექსპერტმა გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესში იყო იგი ჩართული და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია მექანიზმის ჩამოყალიბების თაობაზე აქვთ მითითება, რომელიც დებულების ნაწილში აქვთ განსაზღვრული, შესაბამისად, როგორც დასკვნაში არის წარმოდგენილი ამ მექანიზმის საფუძველზე იგეგმება აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური ხელშეწყობის სამომავლოდ განხორციელება.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა სალომე პირველმა დაამატა განსახილველ საკითხს, რომ ეს პროგრამა არის ახალი, აკრედიტაციის მინიჭება განხორციელდა გასულ წელს. გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა სამართლის პროგრამის მიმართულებას, თუმცა ინსტიტუციას ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს, ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები რომელშიც არიან წარმოდგენილი საერთაშორისო პარტნიორები, კონკრეტულად სამართლის მიმართულებით დაწყებულია კვლევა, რომელშიც ჩართულია სტუდენტი სამართლის მიმართულებით, ასევე აკადემიურ პერსონალი. სექტემბერში სტუდენტის და აკადემიური პერსონალის ერთად გაემგზავრებიან პოლონეთში კვლევით კომპონენტის ირგვლივ განხორციელდება ეს ვიზიტი, შესაბამისად ამის დამადასტურებლად წარმოდგენილია შეთანხმება პოლონეთის უნივერსიტეტთან სწორედ ამის თაობაზე. შესაბამისად, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სამომავლოდ უფრო გამოჩნდება შედეგები ამ მხრივ, რადგან ახლახანს დაიწყო პროგრამაზე ამ მხრივ ქმედებების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში მოქმედ პროგრამაზე არის მსგავსი პრაქტიკა, ასევე კარგა ხანია შემუშავებულია აკადემიურ პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება. რომლის მიხედვითაც ხდება ყოველწლიური შეფასება. ეს იქნება სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ თუ საერთაშორისო ჟურნალებში თუ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. ასევე აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა ინსტიტუციის მხრიდან როგორც ფინანსური ასევე სხვა კუთხით, რომ სამეცნიერო კუთხით განახორციელონ აქტივობები და ეს მხარდაჭერა განხორციელდება სამართლის პროგრამაზე.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 18:07

დასრულების დრო: 18:10

### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მიიღოს ცნობად შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

### **მექვსე საკითხი:**



სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტის პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.**

ექსპერტი ირაკლი მანველიძე მიესალმა საბჭოს დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხის ირგვლივ იგი გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას და გაცემული რეკომენდაციის შესრულების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშს და მიიჩნევს, რომ დაწესებულების მხრიდან ყველა გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი რომეო გალდავა მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს თავდაპირველად გაცემული ღირებული რეკომენდაციებისათვის და ექსპერტს დაწესებულების მხრიდან ჩატარებული სამუშაოს დაფასებისთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს ექსპერტის მიმართ ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებული იყო რომ სავალდებულო ლიტერატურა გაიწეროს კვირების მიხედვით. მას აინტერესებდა კონკრეტულად გაცემულ რეკომენდაციის შინაარსთან დაკავშირებით თუ რას გულისხმობდა იგი. ექსპერტმა ირაკლი მანველიძემ აღნიშნა რომ რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ ლიტერატურა მითითებული უნდა ყოფილიყო თითოეულ კვირაში დასახელებული თემის თანდართულად და ეს შესრულებულია დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა რომ რიგ სილაბუსში იყო უზუსტობები, რამაც გამოიწვია სწორედ კონკრეტული შინაარსის რეკომენდაციის გაცემა და დაწესებულების მხრიდან იგი შესრულებულ იქნა. საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა რომ იგი უნდა ყოფილიყო რჩევა ვიდრე რეკომენდაცია. საბჭოს წევრ გიორგი ლაღანიძეს კითხვა ჰქონდა იმის შესახებ თუ რომელ წელს იქნა რეკომენდაცია გაცემული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ რეკომენდაცია გაცემულ იქნა 2021 წელს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 18:16

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ერთად განეხილად დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7, მე-8 და მე-9 საკითხი. სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

**მეშვიდე საკითხი:** შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**მერვე საკითხი:** შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**მეცხრე საკითხი:** შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

**მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა**

## ექსპერტის პოზიციის განხილვა

### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ შეასრულა გაცემული რეკომენდაციები. ყურადღება გაამახვილა მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე და აღნიშნა, რომ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია, პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა „პროგრამის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულების უნდა განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდების კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით.“ დაწესებულების მხრიდან შევიდა შესაბამისი ცვლილებები, გასწორდა ეს კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები სავალდებულო საგნები დაემატა. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა „ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ალგორითმები სასწავლო კურსის ლიტერატურა შეიცვალოს უახლესი ლიტერატურით“. ეს რეკომენდაციაც შესრულებულია და განახლებულია ლიტერატურა. „სასწავლო კურსის შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებაზე“, ეს რეკომენდაციაც შესრულებულია და შეცვლილია შესაბამისად. რეკომენდაცია, „პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატოს ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისო აღიარებული ინგლისური ენის სერტიფიკატის ფლობა ან ინგლისური ენის B2 დონის შიდა გამოცდის დამატება“ რეკომენდაციის შესრულების ნაწილში დაემატა ამგვარი გამოცდა დაშვების წინაპირობად. „სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მისაღებად სპეციალობის გამოცდის საკითხები გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად“ და ეს რეკომენდაციაც შესრულებულია და გაიწერა საჭიროების შესაბამისად. იყო ასევე რჩევა ყველა პროგრამასთან მიმართებით რომ „HARDWARE“-ზე, ოპერატიული იყო გასაზრდელი და ეს რეკომენდაციაც შესრულებული აქვს დაწესებულებას.

რაც შეეხება „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალვრო პროგრამას აღნიშნა რომ გაცემული იყო 8 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია იყო „რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს შეფასების კონკრეტული მეთოდის კონკრეტული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულის მიხედვით და არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით“. შესრულებულია დაწესებულების მიერ გაცემული რეკომენდაცია. მეორე რეკომენდაცია „დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის წავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები“ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. მესამე რეკომენდაცია „ჩასწორდეს პროგრამის აღწერილობა იმასთან მიმართულებით, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, რომ პროგრამაში იყო არჩევითი საგნების ბლოკი, სადაც ისწავლება მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულების სასწავლო კურსები, რაც აღნიშნულია პროგრამაში“ გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს რაც გასწორდა. მეოთხე რეკომენდაცია „რეკომენდირებულია გაიზარდოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, მაგალითად დაემატოს სასწავლო კურსები როგორცაა „ღრუბლოვანი გამოთვლები“ „საგანთა ინტერნეტი“ და „მობილური აპლიკაციები“ და ა.შ. ეს რეკომენდაციაც შესრულებულია და დამატებულია „ღრუბლოვანი გამოთვლები“. მეხუთე რეკომენდაცია „რეკომენდირებულია სასწავლო კურსები და პროგრამირება C+ ბაზაზე გადავიდეს მეორე სემესტრში და განხორციელდეს ლოგიკური გადაბმა „BACKEND პროგრამული ენების სწავლების კუთხით“ შემდეგი სემესტრისათვის“ ეს რეკომენდაცია შესრულებულია. ასევე კიდევ ერთი რეკომენდაცია „რეკომენდირებულია სასწავლო კურსის პროგრამირების ენა C SHARP-ში წინაპირობაში დაემატოს სტრუქტურების და ალგორითმების კურსი“ შესრულებულია აღნიშნული რეკომენდაციაც. შემდეგი რეკომენდაცია „მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსი კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები და სალექციო კონსპექტი ილუსტრირებით და განმარტებით“ ეს რეკომენდაციაც შესრულებულია. მერვე

რეკომენდაცია “მომზადდეს და ბიბლიოთეკაში განთავსდეს კურსის “კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები ორი“ და ეს რეკომენდაციაც შესრულებულია დაწესებულების მხრიდან.

მესამე პროგრამა არის "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო პროგრამა, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია.

პირველი რეკომენდაცია „დაზუსტდეს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რათა ზუსტად განისაზღვროს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად იდენტიფიცირებული მესამე დონის სასწავლო კურსები“ შესრულებულია დაწესებულების მხრიდან წინა პროგრამის ანალოგიურად. „პროგრამის სტრუქტურა გასწორდეს იმდაგავრად, რომ მონაცემთა ბაზების საფუძვლები რომელიც არის სასწავლო კურსების მონაცემთა მეცნიერების და დიდი მონაცემების საფუძველზე მონაცემთა მართვის წინაპირობა უნდა ისწავლებოდეს ერთ სემესტრში, მესამე რეკომენდაცია „მონაცემთა კურსში „მეცნიერების საბაზისო ბიბლიოთეკები“ პაიტონის ბაზაზე არის გადაკვეთა და უნდა ისწავლებოდეს ორ კურსში“ რომელიც შესრულებულია დაწესებულების მხრიდან. მეორე „რეკომენდირებულია სასწავლო კურსის კომპიუტერული ტექნოლოგიების ორგანიზაციული და არქიტექტურის საფუძვლები შინაარსში დაემატოს ისეთი საკითხები როგორც არის, მრავალბირთვიანი არქიტექტურასთან, პროცესებთან და სხვა საკითხებთან მიმართულებით“ რომელიც შესრულებულია დაწესებულების მხრიდან. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ასევე შესრულებულია ყველა რეკომენდაცია რომელიც საბჭოს მხრიდან არის გაცემული ამ პროგრამასთან მიმართებით.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. აღნიშნეს, რომ მათ მიიღეს და გაიზიარეს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები. ასევე აღნიშნეს, რომ რადგანაც პროგრამა მათთვის იყო ახალი და მანამდე მსგავს პროგრამებს არ ახორციელებდა, განვითარებაზე არიან ორიენტირებულები შესაბამისად გასათვალისწინებელი იყო ექსპერტის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია. ასევე აღნიშნეს რომ პროგრამას უწევს კლასტერული აკრედიტაცია, შესაბამისად მუდმივად ხდება სილაბუსებისა და სასწავლო კურსების განახლება და შესაბამისობაში მოყვანა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

**საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.**

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 18:31

დასრულების დრო: 18:43

### **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღოს ცნობად.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი:**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა**

**აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ

იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

## **მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტის პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.**

ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა საბჭოს ხდომაზე დამსწრე წევრებს და წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაიარა აკრედიტაცია 2023 წელს, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ სხვა პროგრამებთან ერთად. გამოთქმულ იქნა 8 რეკომენდაცია და 6 რჩევა და უნივერსიტეტს დაეკისრა რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება ერთ წელიწადში. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი არის კლასტერული თუმცა რასაკვირველია უშუალოდ რეკომენდაციების ნაწილი ეხება განსახილველ პროგრამას. რჩევები დაწესებულებამ მიიღო ცნობად. რაც შეეხება რეკომენდაციებს დაწესებულება მიუთითებს, რომ ყველა რეკომენდაცია იყო მისაღები და გასათვალისწინებელი. შესაბამისად აღნიშნა ექსპერტმა რომ რეკომენდაციები ცალსახად შესრულებულია. ასევე აღნიშნა, რომ ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კიდევ არის შესაძლებელი მათი სრულყოფილად შესრულება. კერძოდ, ერთ-ერთი ეხებოდა ერთ კონკრეტულ საგანს, ასევე აღნიშნა, რომ პრატიკულად შესრულებულია რეკომენდაცია რადგან სრულად შეეცვალა სახელწოდება გაუმჯობესდა სასწავლო კურსის შინაარსი, თუმცა გარკვეული ტერმინოლოგია დარჩა საგნის აღწერილობაში, მიზნებსა და სწავლის შედეგებში, შესაბამისად მიიჩნევს ექსპერტი რომ ამ კუთხითაც უნდა იყოს ყურადღება მიქცეული, ვინაიდან ეს რეკომენდაციაც ეფუძნებოდა უცხოელი ხელმძღვანელის დახმარებით და თანამონაწილეობით შედეგებს რადგან არსებობს გარკვეულ დარგებში მარგინალური ტერმინოლოგიები, რომელიც არ გამოიყენება ან ნაკლებად გამოიყენება. მიზანი აღნიშნული რეკომენდაციის გაცემისა იყო სწორედ უფრო საერთაშორისო სასწავლო მეცნიერებას დაახლოებოდა წარმოდგეილი პროგრამა. კიდევ ერთი საკითხი ეს ეხება სადისერტაციო, შემუშავებისა და გაფორმების გაუმჯობესების საკითხს, უნივერსიტეტი მიუთითებს რომ ამ მიმართულებითაც მათ ბევრი იმუშვეს რომელიც ჩანს კიდევ. აღნიშნა ექსპერტმა რომ სადისერტაციო ნაშრომების მიღების და გაფორმები წესი უნივერსიტეტში გაფორმებულია, ჩიკაგოს ციტირების საერთაშორისო აკადემიის სტილი, რასაც რა საკვირველია მიესალმებიან ექსპერტები. ასევე, შემუშავებული აქვს დაწესებულებას სადოქტორო დისერტაციის გაფორმების წესი, სადაც არის დეტალურად აღწერილი ნაშრომის გაფორმებისთვის შრიფტის ზომა, შრიფტის სახეობა, სტრიქონებს შორის მანძილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, წარმოდგენილი 17 სადისერტაციო ნაშრომი შესწავლის შედეგად ჩანს რომ არ არის ერთგვაროვანება დაცული, შესაბამისად ამ კუთხით უნდა გაგრძელდეს მუშაობა. აქვე აღნიშნა ექსპერტმა, რომ შესაძლებელია ეს ნაშრომები დაცულია წინა პერიოდში და ისეთ მცირე პერიოდში როგორც არის ერთი წელი ბუნებრივია ვერ მოხერხდა ყველა საკითხის მაქსიმალურად მოგვარება. რადგანაც ასეთი რეკომენდაციები არის გრძელვადიანი პერსპექტივის.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით რომელიც ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა ექსპერტების მხრიდან, ერთ-ერთი საგნის სილაბუსთან მიმართებით, კერძოდ ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების აქტუალურის საკითხები. დამატებით სილაბუსის ავტორმა კიდევ ერთხელ ჩაატარა სამუშაოები და კიდევ ერთხელ გადაიხედა ტერმინოლოგია. შესაბამისობაში მოვიდა მიზანი და შედეგი, დაემატა

საკითხები და შესაძლებელია კიდევ უფრო განახლებული სილაბუსი იქნეს წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე საკითხს, აქაც რეკომენდაციის შესაბამისად უკვე ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, ასევე დასკვნის შემდეგ კიდევ ერთხელ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელზეც განხილულ იქნა სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზები. რაც შეეხება გზამკვლევს, შედგნილია ელექტრინული ვერსია და ასევე ბრძანება უნივერსიტეტის ციტირების სტილთან დაკავშირებით. საგულისხმო რეკომენდაციები იყო აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომელთა გათვალსიწინებით წარმოდგენილი პროგრამა უმჯობესდება მხოლოდ და მხოლოდ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დასვა ინსტიტუციის მისამართით, მას აინტერესებდა რამდენი დოქტორანტის ასრულებს პროგრამას წლის განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ინგა აბრამიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის ძალიან მოცულობითი და 6 დან 12 მდე წლის განმავლობაში არის დოქტორანტების რაოდენობა.

საბჭოს წევრ ელიზბარ ელიზბარაშვილს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან. მას აინტერესებდა მიუხედავ იმისა, რომ უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ხანია გაწერილი აქვს სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესები, რით არის გამოწვეული ის, რომ ბოლომდე მაინც არ ხდება აღნიშნული წესების დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ფაკულტეტი ამგვარი წესების დაცვას და დასანანია, რომ ამის მიუხედავად მაინც არსებობს ამგვარი ხარვეზები.

ასევე საბჭოს წევრს დამატებით აინტერესებდა ვის ევალება, რეცენზენტს თუ ხელმძღვანელს, აღნიშნული საკითხის მონიტორინგი. აღნიშნული საკითხის განხილვაში ჩაერთო ექსპერტი და მან აღნიშნა, რომ ქართველოლოგიურ დარგებს აქვს თავისი სპეციფიკა ბოლომდე ჩიკაგოს და თუნდაც ამერიკის ფსიქოლოგიური სკოლის საერთაშორისო სტილის გადმოტანა მოითხოვს ადაპტაციას ქართველოლოგიურ პროგრამებთან მიმართებით. ქართულად გაფორმების წესების გარკვეული საკითხები ბოლომდე ვერ არის ხოლმე დაცული თავად სპეციფიკიდან გამომდინარე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად იზიარებდა მიდგომას, რომ ზოგჯერ საჭიროა ადაპტირება არსებულ გარემოსთან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშაოს ნაშრომების გაფორმების საკუთარი სტილი რათა თავიდან აიცილოს მსგავსი პრობლემები. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მისაღები და გასათვალისწინებელია მსგავსი მითითება. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი რომ ქართველოლოგიური დარგები ისედაც გამონაკლისია, საერთაშორისო სივრცეში არ არის ინტეგრირებული და არ მოხდეს ამის პროვოცირება და სულ მთლად საერთაშორისო ბაზებისა და სივრცის გარეშე არ დაგვრჩეს საკითხი. საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაამატა რომ ამის საშიშროება არ დგას, რადგან ბევრ დარგს არ აქვს საერთაშორისო სისტემა მაგალითად ქიმია, თუმცა ინდექსირების პრობლემა არ დგას.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 19:00

დასრულების დრო: 19:05

### **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის სნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი:**

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი);

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა გიორგი ლაღანიძემ**

**აცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.**

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა განხილული იქნა 2024 წლის 30 იანვარს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, სადაც საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები. სულ იყო 12 რეკომენდაცია და 15 რჩევა, და ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღის ვადა, დათქმულ ვადაში წარმოადგინა საჭიორ დოკუმენტაცია, მათი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ძირითადად გაიზიარა და შეასრულა გაცემული რეკომენდაციები და დიდ წილად გაიზიარეს რჩევები. აღნიშნა ექსპერტმა რომ მათ ჰქონდათ პროგრამის განვითარებისკენ მიმართული რამდენიმე რჩევა და ერთი რეკომენდაცია, რომელიც გაიცა მეორე სტანდარტის 2.4. ქვესტანდარტთან მიმართებით. შესაბამისად 2.4. ქვესტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში არის მოთხოვნებთან“, თუმცა მთელი სტანდარტი შეფასებულ იქნა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დასკვნით არსებული სტანდარტები შეფასებულია როგორც შესაბამისია დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულება იზიარებს ექსპერტების მიერ გაცემულ



რეკომენდაციას და რჩევებს და აღნიშნავს რომ დიდი ნაწილი შესრულებულია და ნაწილის შესრულებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. აღნიშნეს რომ მათ მიიღეს და გაიზიარეს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები რჩევები. ერთ რეკომენდაციასთან მიმართებით, აღნიშნეს რომ სილაბუსი სასწავლო კურსი „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ მსგავსი ანალოგიური ეს პროგრამა როგორც ძირითადი მუშაობს სამოქალაქო არქიტექტურაში, სადაც აფსოლუტურად შესწორებული იყო ყველაფერი რაც ამ შემთხვევაში აქ არის მოცემული რეკომენდაციის სახით. ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო, სილაბუსის პირველადი ვარიანტი იქნა გაზიარებული.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

### **საბჭოს წევრებს არ აქვს შეკითხვები**

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 19:18

დასრულების დრო: 19:25

### **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგემიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0


### **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგემიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

### **საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:28 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს წევრი  
დურული ციური



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ლომინაძე თამარ

